

სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ნაწილი I: შეფასება და ანალიზი

პროექტი წარედგინება:
ავსტრიის განვითარების სააგენტო
GRETA | მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა
Green Economy: Sustainable

პროექტს ასრულებს:
კავკასიის საკონსულტაციო ჯგუფი
ვანო ვაშაყმაძე, დირექტორი
+995 599578449
v.vashakmadze@ccg.ge

Caucasus Consulting GROUP

სოლიმარ ინტერნეიშენალ
ვაშინგტონი, აშშ
კრის სიკი, აღმასრულებელი დირექტორი
chris.seek@solimarinternational.com

solimar INTERNATIONAL

წინასიტყვაობა

გამოვხატავთ გულწრფელ მადლიერებას და პატივისცემას ყველას მიმართ, ვინც თანამშრომლობდა სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში. აღნიშნული გეგმის შემუშავება შეუძლებელი იქნებოდა დაგეგმარების პროცესში ინფორმაციული მხარდაჭერის, სხვადასხვა ექსპერტის ინტელექტუალური წვლილის შეტანისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გარეშე. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით:

მესტიის მერსა და საკრებულოს წევრებს;
ლენტეხის მერსა და საკრებულოს წევრებს;
DMO სვანეთსა და მის სამეთვალყურეო საბჭოს;
GNTA - ლიდერობისა და ინფორმაციის ანალიტიკურ დეპარტამენტს;
მესტიის LAG - ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ხელმძღვანელობას;
MTA – მთის ტრასების სააგენტოს;
RDA – კურორტების განვითარების სააგენტოს;
MDF – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს;
NACHP – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს;

სხვადასხვა სამინისტროთა დეპარტმენტებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ენერგეტიკის, წყლმომარაგების, მყარი ნარჩენებისა და გზების საკითხებზე.

ფოტოებისთვის განსაკუთრებული მადლობა გურამ ვაშაყმაძესა და ნიკო ფალიანს

აკრონიმები და განმარტებები

DMO დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

GIS გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა

GNTA საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

NGO არასამთავრობო ორგანიზაცია

SAVE სამეცნიერო, აკადემიური, მოხალისეობრივი და საგანმანათლებლო

LEPL საჯარო სამართლის იურიდიული პირი

UNWTO გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

USAID ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის

საერთაშორისო მოგზაური - ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობით და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან.

საერთაშორისო ტურიზმი მოიცავს შემომყვან და გამყვან ტურიზმს, იგი აერთიანებს ერთი მხრივ, ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ, როგორც შიდა, ასევე გამყვანი ტურიზმის ფარგლებში. ასევე მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ სხვა ქვეყნის რეზიდენტები ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის ფარგლებში.

საერთაშორისო სტუმარი - მოგზაური, რომელიც მიემგზავრება მისი ჩვეული გარემოდან ერთ წელზე ნაკლები დროით ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება, თუ სხვ.;), გარდა სამოგზაურო ქვეყანასა თუ ადგილზე დასაქმების შემთხვევისა.

ტურისტული დანახარჯები - თანხა, რომელიც გადახდილია ტურისტული მოგზაურობის დროს საქონელსა და მომსახურებაში, ასევე პირადი მოხმარებისა და სასაჩუქრე ძვირფას ნივთებში, აქ იგულისხმება, როგორც თვით ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები, ასევე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....

აკრონიმები და განმარტებები **2**

შესავალი **6**

პროექტის კონტექსტი..... 6

განვითარების სტრატეგიის მიზანი 6

შეფასება 6

მეთოდოლოგია 7

1.0 ტურიზმი საქართველოში **8**

1.1 ტურიზმის ეროვნული ტენდენციები..... 8

1.1.1 ტურისტთა მთლიანი რაოდენობა..... 9

1.1.2 ეკონომიკური გავლენა 9

1.1.3 შიდა ტურიზმი 10

1.1.4 საერთაშორისო მოგზაურები 11

1.1.5 სეზონურობა, დატვირთვა, ხანგრძლივობა.....13

1.1.6 ვიზიტორების გამოცდილება და კმაყოფილება.....14

1.2 ტურიზმის მმართველობა.....15

2.0 სვანეთის კონკურენტუნარიანობის ანალიზი.....**16**

2.1 სვანეთის ადგილმდებარეობის მიმოხილვა.....16

2.1.1 რეგიონის ისტორია..... 17

2.2 ტურიზმი სვანეთში 18

2.2.1 მდებარეობა და კავშირები.....19

2.2.2 ტურისტული ღირშსანიშნაობები 28

2.2.3 ტურისტული პაკეტები..... 33

2.2.4 ტურიზმის სეზონურობა 34

2.2.5 ღირსშესანიშნაობები და რეკრეაციული ზონები 38
2.2.6 განთავსება და მომსახურების სერვისები 43
2.2.7 ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური სერვისები 47
2.2.8 პროფესიული კადრები 57
2.2.9 ტექნოლოგიური განვითარება 59
2.3 ტურიზმის სექტორი და პარტნიორი ინსტიტუციები 60
2.3.1 სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) 61
2.4 მარკეტინგი და კონკურენტების ანალიზი 62
2.4.1 სვანეთის ბრენდინგისა და პოზიციონირების სტრატეგია 62
2.4.2 ვიზიტორთა პროფილები და სამიზნე ბაზრები 65
2.4.3 კონკურენტების ანალიზი 69
2.4.4 მარკეტინგული აქტივობების შეფასება 73
3.0 შესაძლებლობების შეფასება 74
3.1 რეგიონის ზოგადი შესაძლებლობები 74
3.1.1 ზამთრის სეზონი 74
3.1.2 ზაფხულის სეზონი 76
3.1.3 ახალი პოტენციური ბაზრები 79
3.1.4 გაყიდვებისა და პოპულარიზაციის არხები 80
3.2 ვიზიტორის დანახარჯების შეფასებები ზამთრისა და ზაფხულის სეზონებისთვის 82
3.3 PESTLE ანალიზი და ძირითადი შეზღუდვები 83
3.4 SWOT ანალიზი და შეჯამება 85
დანართი 88
A. სამაგიდო კვლევა: დოკუმენტთა სია 88
B. თემატური რუკები 89
C. საფეხმავლო მარშრუტები 91
D. სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - სტრუქტურა 94
ტურიზმის განვითარების ხუთწლიანი სტრატეგია 94
სამოქმედო გეგმა 94

შესავალი

პროექტის კონტექსტი

ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA) ევროკავშირის დელეგაციის (EU) ფინანსური მხარდაჭერით, შვედეთისა და ავსტრიის მთავრობები ახორციელებენ პროექტს „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა (GRETA)“. პროექტის ძირითადი საქმიანობაა [1] ორგანული სოფლის მეურნეობისა და მდგრადი სამთო ტურიზმის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; [2] შექმნას გაუმჯობესებული გარემო მდგრადი სამთო ტურიზმსა და ორგანულ სოფლის მეურნეობაში აქტიურად დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების განსავითარებლად. GRETA თავის პროექტებს ახორციელდებს 2019-დან დღემდე საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მესტია, ლენტეხი, ცაგერი, ონი, ამბროლაური, საჩხერე, ჭიათურა, ტყიბული, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და იმერეთი.

პროგრამა GRETA-ს ფარგლებში საკონსულტაციო ჯგუფთან (კავკასიის საკონსულტაციო ჯგუფი და სოლიმარ ინტერნეიშენალ) გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მზადდება ზემო და ქვემო სვანეთის (მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები) “ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა”. აღნიშნულ პროექტში პირველი ნაწილი ეთმობა არსებული სიტუაციის მოკვლევასა და ანალიზს. ამ ნაწილის დასრულების შემდეგ, პროექტის გუნდი წარადგენს საბოლოო დოკუმენტს „სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“.

განვითარების სტრატეგიის მიზანი

ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს თანმიმდევრულ ქმედებათა ჯაჭვს, რომლის მიზანია სვანეთის პოპულარიზაცია და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს რეგიონის მდგრად განვითარებას.

დოკუმენტის გამოყენება შეეძლებათ სვანეთში ტურიზმის განვითარებით დაინტერესებულ ყველა მხარეს, მათ შორის კერძო და საჯარო ინსტიტუციებს, დონორებს და განვითარების სააგენტოებს მუნიციპალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. ეს შესაძლებლობას მისცემს რეგიონს მოიზიდოს დამატებითი თანხები მარკეტინგის, ტურისტული პროდუქტის, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური სერვისების გასაუმჯობესებლად, რაც შექმნის მდგრადი ტურიზმის განვითარების საფუძველს და გაზრდის სვანეთის კონკურენტუნარიანობას.

შეფასება და ანალიზი

სიტუაციის შეფასების მიზანია, შექმნას წარმოდგენა რეგიონში ტურიზმზე, მათ შორის ვიზიტორების ტიპოლოგიაზე, საჭირო ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია განვითარების სტრატეგიის, ხედვების, მიზნებისა და სამოქმედო გეგმის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული ანალიზი აღწერს ზამთრისა და ზაფხულის სეზონებზე ტურიზმის არსებულ მდგომარეობას და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით განიხილავს ტურისტული შესაძლებლობების განვითარებას.

პირველ ნაწილში, ეროვნული ტენდენციებისა და სტატისტიკის მიმოხილვა შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ კონტექსტი უფრო ფართო სპექტრიდან. მეორე ნაწილში ვკითხულობთ ინფორმაციას სვანეთის პოზიციონირებაზე მსოფლიო ბაზარზე, რეგიონის ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე. ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ზამთრისა და ზაფხულის შესაძლებლობები, ახალი პოტენციური ბაზრები, ძირითადი გამოწვევები, PESTLE და SWOT ანალიზები.

მეთოდოლოგია

ანალიზის პროცესი მოიცავდა „სამაგიდო კვლევას“, საველე კვლევასა და კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ტურ-ოპერატორებთან, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან, დარგობრივ ექსპერტებთან და სვანეთის რეგიონის მაცხოვრებლებთან.

საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი ცოდნის შერწყმა ერთადერთი გზაა კონკრეტული ინფორმაციის მოპოვებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დოკუმენტის მიხედვით დაგეგმილი ქმედებების განსახორციელებლად. ამის გათვალისწინებით, ქართველ და ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან მესტიასა და ლენტეხში. ამ პროცესის კოორდინაცია ხორციელდება რეგიონის ტურისტული დანიშნულების მართვის ორგანიზაცია DMO-ს მხარდაჭერით.

ადგილობრივი ხელშემწყობი გუნდი მჭიდროდ თანამშრომლობდა ექსპერტთა ეროვნულ და საერთაშორისო გუნდთან, ატარებდა ონლაინ და ფიზიკურ შეხვედრებს თითქმის ყოველდღიურად. ამ პრაქტიკამ ხელი შეუწყო სამუშაო პროცესის ჩამოყალიბებას და ღირებული ინფორმაციის შეგროვებას. შეფასების ეტაპი გვიჩვენებს სურათს სხვადასხვა ფაქტორის შესახებ, რომლიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდეს ტურიზმის განვითარებაზე სვანეთის რეგიონში - გეოგრაფიული, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ურბანული დაგეგმარება, საჯარო სერვისები, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, გზები, წყალი და სანიტარული სისტემა. აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობა, კურორტები, ეკონომიკური სტატისტიკა და ა.შ.

სამაგიდო კვლევა ჩატარდა ტურიზმის ძირითადი ინდიკატორების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად, რაც დაგვეხმარა სვანეთში არსებული სიტუაციის აღსაწერად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უკვე განხორციელებულ და დოკუმენტირებულ სამუშაოებს. კვლევის შედეგად შეგროვდა და განხილულ იქნა ყველა

შესაბამისი დოკუმენტი თუ ნარკვევი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. ეროვნულ ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე სხდომა გამართა შეფასების ეტაპზე. მოაწყო 4 შეხვედრა (თითოეულ მუნიციპალიტეტში 2-2) დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრები მიზნად ისახავდა ინფორმაციის შეგროვებას და შემდგომ ანალიზის გაცნობას.

შეფასებისა და ანალიზის ეტაპი აღწერს არა მხოლოდ ტურისტულ ცენტრებს, არამედ უფრო მეტად ორიენტირებულია საერთო შესაძლებლობებზე, რომელიც მოიცავს მაღალმთიან სოფლებს, ნაკლებად აქტიურ ტერიტორიებსა და სხვა ახალ პროდუქტებს, რომლებიც შესაძლებელია განვითარდეს ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

1.0 ტურიზმი საქართველოში

1.1 ტურიზმის ეროვნული ტენდენციები

ამ განყოფილებაში მოცემულია როგორც დემოგრაფიული, ასევე სეზონური ინფორმაცია ქვეყანაში ჩამოსული მოგზაურების ტიპოლოგიის შესახებ, თანდართულ გრაფიკებთან და სტატისტიკასთან ერთად, რათა გასაგები იყოს ბაზრის ახალი სეგმენტების მოზიდვის შესაძლებლობები.

ფაქტია, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული ტურისტული ადგილი ხდება. ქვეყნის მრავალფეროვანი ლანდშაფტი, რომელიც მოიცავს კავკასიონის განსაცვიფრებელ მთებს, იპყრობს ვიზიტორთა ყურადღებას მთელი მსოფლიოდან. რაც შეეხება დემოგრაფიულ თვალსაზრისს, საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაში გვხვდება მარტო მოგზაურები, წყვილები, ოჯახები და ტურისტული ჯგუფები. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2019 წელს ქვეყანამ უმასპინძლა 9 მილიონზე მეტ საერთაშორისო სტუმარს (მათ შორის შედის ყველა, ვინც საქართველოში არ ცხოვრობს და გადმოკვეთა საზღვარი). უმრავლესობა იყო მეზობელი ქვეყნებიდან - თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტურისტების მოზიდვას შორეული ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია და ჩრდილოეთ ამერიკა.

საქართველოში, პოსტ-პანდემიური მოგზაურობის ერთ-ერთი აქტუალური ტენდენციაა მზარდი ინტერესი გარემოსთან თავსებადი სათვგადასავლო აქტივობებისა და ეკოტურიზმის მიმართ. ქვეყნის მთიანი რეგიონები მოგზაურებს სთავაზობს ბუნების

შეუდარებელ სილამაზეს, ავთენტურ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, უამრავ გარე აქტივობას, სასიამოვნო სამოგზაურო თავგადასავლებს. გარდა ამისა, გაცილებით პოპულარული ხდება შიდა მოგზაურობები, ადამიანებს სურთ დაათვალიერონ საკუთარი ქვეყანა, რითაც ეხმარებიან ადგილობრივ ბიზნესს.

1.1.1 ტურისტთა მთლიანი რაოდენობა

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა წლების განმავლობაში იზრდება, განსაკუთრებული გარდატეხა კი 2010-2019 წლებში მოხდა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საქართველომ, 2019 წელს, 9,4 მილიონ საერთაშორისო ვიზიტორს უმასპინძლა, რაც იყო რეკორდული რაოდენობა და ამავდროულად 8%-იანი ზრდა 2018 წელთან შედარებით.

მონაცემი 1: საერთო წლიური ტურისტების შემოსვლა (მილიონი) პანდემიისგან მიღებული ზარალის აღდგენის ხაზით
Source: GRETA



ტურიზმის ინდუსტრია ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. როგორც სხვა ქვეყნების უმეტესობა, საქართველოც დაზარალდა COVID-19-ის პანდემიით 2020 წელს, რამაც გამოიწვია ტურისტთა რაოდენობის მკვეთრი კლება წინა წელთან შედარებით, კონკრეტულად კი 82,3%-ით. ეს გამოწვეული იყო მოგზაურობის შეზღუდვებისა და საზღვრების ჩაკეტვის გამო. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, საქართველოს მთავრობამ და ტურიზმის ინდუსტრიამ გადადგა ნაბიჯები სექტორის აღსადგენად სარეკლამო კამპანიების საშუალებით და უსაფრთხოების ზომების დაცვით. შედეგად, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, 34,6%-ით გაიზარდა უცხოელი ტურისტების რაოდენობა. 2022 წელს საერთაშორისო ტურისტების მთლიანმა რაოდენობამ 5,4 მილიონს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 188%-ით მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ 2022 წელს საზღვრის კვეთის რაოდენობა 88%-ით აღდგა 2019 წელთან შედარებით. ამავდროულად, მატულობს ტურისტთა ხანგრძლივად ყოფნისა და ფინანსური დანახარჯების რაოდენობა. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი ნიშანია და მიუთითებს, რომ ეკონომიკურმა ზემოქმედებამ უკვე გადააჭარბა პანდემიამდელ პერიოდს.

1.1.2 ეკონომიკური გავლენა

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში ტურიზმის სექტორში უშუალოდ 170 000 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც ქვეყანაში მთლიანი დასაქმების 5.6%-ს შეადგენდა. ტურიზმის ინდუსტრიაზე პანდემიის გავლენამ გამოიწვია სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მნიშვნელოვანი, 40%-იანი შემცირება 2021 წლის ბოლოსთვის, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით. თიბისი კაპიტალის ანგარიშის მიხედვით, აღდგენის ზრდასთან ერთად, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გამომუშავებული შემოსავალი 2022 წლის 11 თვის განმავლობაში შეადგენდა 3,16 მილიარდ აშშ დოლარს, რაც 4%-ით აღემატება 2019 წლის 11 თვის მაჩვენებელს. 2019 წელთან შედარებით სამოგზაურო დანახარჯები სრულად აღდგა 2022 წლის ივლისის მონაცემებით. 2022 წლის სამგზავრო ხარჯები საშუალოდ 2298 ლარია (919 აშშ დოლარი). რაც მნიშვნელოვნად აღემატება პანდემიამდელ (350 აშშ დოლარი) მაჩვენებელს. თუმცა, ეს უპრეცედენტო ზრდა ამავდროულად არის რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის მოქალაქეების დროებითი მიგრაციის შედეგი, რაც რუსეთ-უკრაინის ომმა გამოიწვია.

1.1.3 შიდა ტურიზმი

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, შიდა ტურიზმი, რომელიც ძირითადად დედაქალაქის მაცხოვრებლებზე მოდის, 2022 წელს 16,3 მილიონს შეადგენდა. მოგზაურობის ძირითადი მიზანი (51%) არის ნათესავების მონახულება და მხოლოდ 9,7% მიდის დასასვენებლად. აქედან 4,2% სამეგრელო-ზემო სვანეთს ეწვია, ხოლო 3,5% რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს.

მონაცემი 2: შიდა მოგზაურობები დროთა განმავლობაში: UNWTO

1.1.4 საერთაშორისო მოგზაურები

საქართველოს ტურისტული ინდუსტრია დიდწილად განპირობებულია (68,8% 2022 წელს) მეზობელ ქვეყნებთან სიახლოვით - სომხეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი. მიუხედავად პანდემიისა და სახმელეთო საზღვრების ჩაკეტვის უარყოფითი გავლენისა, საქართველომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი აჩვენა ისეთ ქვეყნებს შორის, როგორიცაა ისრაელი, უკრაინა, ყაზახეთი და საუდის არაბეთი.

2022 წელს ახლო აღმოსავლეთიდან ტურისტების რაოდენობა პროცენტულად 11%-ს შეადგენდა, ხოლო ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ქვეყნებიდან 6%-ს. ეს რიცხვები გვიჩვენებს ზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. ბაზრების განსაზღვრისას ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ვიზიტორების დანახარჯები. თიბისი კაპიტალის მიხედვით, პირველ ადგილზე სასტუმროებში საშუალო დანახრჯის ინდექსით - 812 ლარი - არიან ქუვეითელები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად ჩამოსული ტურისტების წილი 28%-დან 32%-მდე გაუზარდა. 2022 წელს ამ რიცხვმა 1.45 მილიონ პირველად ვიზიტორს მიაღწია. ეს ტურიზმის სექტორისთვის ახალ ბაზრების ათვისების შესაძლებლობებზე მიუთითებს, რაც განაპირობებს უფრო ძლიერ და მრავალფეროვან ინდუსტრიას.



მონაცემი 3: საერთაშორისო ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით. ('000), წყარო: TBC Capital.

მონაცემები 4 & 5:

საერთაშორისო ვიზიტორების მოგზაურობის მიზნები (მარცხნივ) და საერთაშორისო ვიზიტორთა მოგზაურობა - მარტო, ოჯახი, მეგობრები, კოლეგები, სხვა (მარჯვნივ). წყარო: თიბისი კაპიტალი.





1.1.5 სეზონურობა, დატვირთვა, ხანგრძლივობა

ბოლო მონაცემებით, უცხოელი ტურისტების ქვეყანაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა 6,2 დღეა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტურისტები ყველაზე დიდხანს რჩებიან, საშუალოდ - 9,7 დღე. აღსანიშნავია, რომ მონაცემები შეიძლება დამოკიდებული იყოს მოზაურობის მიზანზე და სპეციფიკაზე. მაგალითად, პოპულარული მიმართულებები როგორიცაა, თბილისი და ბათუმი შეიძლება უფრო მოკლევადიანი აღმოჩნდეს ვიზიტორთათვის, ხოლო ისეთი მაღალმთიანი რეგიონები როგორებიცაა სვანეთი ან ყაზბეგი - გრძელვადიანი;

77.7%

ღამისთევით მოგზაურობა

სულ 3,652,949 in 2022

22.3%

ერთდღიანი მოგზაურობა

სულ 1,050,996 in 2022

მონაცემი 6: დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა. წყარო: თიბისი კაპიტალი.



მონაცემი 7: საერთაშორისო ვიზიტორთა მოგზაურობები თვეების მიხედვით, წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



1.1.6 ვიზიტორების გამოცდილება და კმაყოფილება

ვიზიტორთა 93,4%-ს არ უსარგებლია არც ერთი ტუროპერატორი კომპანიის სერვისით. ეს ნიშნავს, რომ უფრო მეტი ვიზიტორი დამოუკიდებლად გეგმავს მოგზაურობას, ესშეესაბამება საერთაშორისო ტენდენციებს და ძალიან გავრცელებულია უსაფრთხო სამოგზაურო გარემოს მქონე ქვეყნებში. მიუხედავად რუსეთთან საზღვრისა, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მაჩვენებლის მიხედვით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოში. GNTA-ს მონაცემებით, 2022 წელს ვიზიტორთა კმაყოფილების საშუალო ქულა იყო დაახლოებით 4,5, 5-დან.

უცხოელების 57,2% თბილისს სტუმრობს, 43,8% ბათუმს. სხვა მეტ-ნაკლებად პოპულარული ქალაქებია ყაზბეგი (9,4%), მცხეთა, ქუთაისი, ბორჯომი, გუდაური, მარნეული და სიღნაღი.

მონაცემი 7: უცხოელი ვიზიტორები სტუმრობის ტიპი (პირველად ვიზიტი და განმეორებითი ვიზიტი)
წყარო: თიბისი კაპიტალი.



1.2 ტურიზმის მმართველობა

საქართველოში რამდენიმე რეგიონული და ეროვნული ორგანიზაციაა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ტურიზმის ინდუსტრიაზე და ვიზიტორთა გამოცდილებაზე. ეროვნულ დონეზე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA) პასუხისმგებელია ტურიზმის განვითარებაზე, მარკეტინგსა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. GNTA მჭიდროდ თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან (APA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან (NACH), MTA - მთრის ტრასების სააგენტოსთან (სახელმწიფო კომპანია), ახლად დაარსებულ კურორტების განვითარების სააგენტოსთან და სხვა სახელმწიფო სააგენტოებთან.

გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე რეგიონალური დანიშნულების მართვის ორგანიზაცია (DMO), რომლებიც მხარს უჭერენ ტურიზმის განვითარებას ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი და რეგიონული DMO-ები (კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო და სვანეთი) მუშაობენ ტურიზმის პოპულარიზაციაზე თავიანთ რეგიონებში. რაც მოიცავს ღონისძიებების ორგანიზებას, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერას და კულტურულ-ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციას. ადგილობრივი ხელისუფლება მუნიციპალურ დონეზე პასუხისმგებელია, რომ საჭირო ინფრასტრუქტურისა და სერვისების უზრუნველყოფით მხარი დაუჭიროს და გააუმჯობესოს ტურისტთა მოგზაურობა.



სვანეთის DMO „შანლენდი“ დაარსდა 2018 წელს, მესტიისა და ლენტეხის ორი მუნიციპალიტეტის მიერ. DMO-მ გაიარა Solimar International-ის ინტენსიური 16-კვირიანი სასწავლო პროგრამა, UNWTO დანიშნულების განვითარების პროგრამის მიხედვით. DMO-ს სტრუქტურა გამონაკლისი შემთხვევაა საქართველოში, როდესაც ორი ტერიტორიული რეგიონის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა მისი ისტორიული ურთიერთობებისა და განვითარების ტენდენციების გამო. DMO-მ ასევე მოახერხა კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართვა, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საჯარო და კერძო პარტნიორობისთვის. ბოლო წლებში, DMO-მ ითამაშა მასპინძელი დაწესებულების როლი რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზებისას, როგორიცაა Freeride World Tour Qualifier, Highlander სვანეთი, რამდენიმე კულტურული ღონისძიება და ფესტივალი. ეს კარგი

პრაქტიკა განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტისა და სხვადასხვა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, როგორიცაა USAID, GRETA, GiZ და სხვა.

ბოლო წლებში გაჩნდა რამდენიმე ასოციაცია, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას. მათ შორისაა საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, საქართველოს შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაცია, ეკოტურიზმის ასოციაცია, ტურიზმის ალიანსი, მთის გიდების ასოციაცია და სხვა სექტორზე ორიენტირებული პროფესიული გაერთიანებები, რომლებიც იცავენ ბიზნესის ინტერესებს და უწევენ მხარდაჭერას ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულებს. საერთო ჯამში, ამ ორგანიზაციების ჩართულობა სხვადასხვა სამთავრობო და კერძო დონეზე აუცილებელია საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

2.0 სვანეთის კონკურენტუნარიანობის ანალიზი

2.1 სვანეთის ადგილმდებარეობის მიმოხილვა

საქართველოს ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს სვანეთი, რომელიც ითვლება ყველაზე მაღალმთიან დასახლებად კავკასიაში. სვანეთი ცნობილია შთამბეჭდავი მთების მასივით. აქ მდებარეობს საქართველოს უმაღლესი მწვერვალი - შხარა (5193 მ), თეთნულდის იდუმალი თეთრი პირამიდა (4858 მ) და ორთავიანი მწვერვალიუშბა. (4710 მ). სწორედ ამ მწვერვალებით გარშემორტყმული სვანეთი თავგადასავლის მაძიებელ მოგზაურებს სთავაზობს გარემოს ლაშქრობების.მთასვლელობისთვის. ზამთრის სეზონზე სტუმრებს შეუძლიათ მიმდებარე სათხილამურო ფერდობებით ისარგებლონ, ხოლო ზაფხულში მთებში მოაწყონ ლაშქრობა.

სვანეთი არის თვალმწარმტაცი ადგილი, რომელიც აერთიანებს განსაცვიფრებელ ბუნების სილამაზეს და სათავგადასავლო ღირსშესანიშნაობებს დიდი ისტორიითა და მდიდარი კულტურით. რეგიონი ცნობილია თავისი უნიკალური არქიტექტურით, 200-ზე მეტი საგუშაგო კოშკი. ტურისტებს შეუძლიათ დაათვალიერონ, უძველესი სოფლები, როგორებიცაა უშგული და მესტია, სადაც მდებარეობს შთამბეჭდავი სვანური კოშკები და ეკლესიები. სვანეთის რეგიონი ასევე ცნობილია ტრადიციული სვანური კერძებით - კუბდარი, ჭვიშტარი, თაშმიჯაბი, ადგილობრივი ფერმერების მიერ წარმოებული ყველი და თაფლი და მრავალი სხვა. ამდენად, გურმანებისთვის ეს მხარე კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება.

სვანეთი იყოფა ზემო და ქვემო სვანეთად, რომლებსაც ჰყოფს სვანეთის ქედი. ქედზე განლაგებულია ორი მთავარი უღელტეხილი - ლათფარისა და ზეკარის. ზემო სვანეთი მოიცავს მესტიის მუნიციპალიტეტს, რომელიც ტერიტორიით ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია საქართველოში. მუნიციპალიტეტის ცენტრია ქალაქი მესტია, რომელშიც 17 ადმინისტრაციული ერთეული შედის (154 სოფელი). ზემო სვანეთში საშუალო წლიური ტემპერატურა 5,7°C-ია, ყველაზე ცივი თვე იანვარი -6,4°C, ხოლო ყველაზე თბილი ივლისი 16,4°C. წლიური ნალექი 1035 მმ. 2021 წლის მონაცემებით, 9500 ადამიანი ცხოვრობს მესტიის მუნიციპალიტეტში, მათ შორის 1900 ქალაქ მესტიაში, დანარჩენი კი 11 თემსა და 153 სოფელში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ოთხი მუნიციპალიტეტიდან ერთ-ერთს წარმოადგენს და მოსახლეობის რაოდენობით ერთ-ერთ ყველაზე პატარა მუნიციპალიტეტად ითვლება საქართველოში. ლენტეხის მუნიციპალიტეტი მოიცავს 55 დასახლებას, ერთ დაბას და 54 სოფელს. მდებარეობს ზღვის დონიდან 760 მეტრის სიმაღლეზე,გამოირჩევა ნოტიო ჰავით. საშუალო წლიური ტემპერატურა 9,4°C-ია, ყველაზე ცივი თვეა იანვარი -1,8°C, ხოლო ყველაზე თბილი ივლისი 20°C-ით. ნალექების წლიური რაოდენობა 1240 მმ-ია. ბოლო არსებული ინფორმაციით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 7 თემში 4200 ადამიანი ცხოვრობს, მოსახლეობის რაოდენობა ბოლო ათწლეულში 50%-ით არის შემცირებული.

2.1.1 რეგიონის ისტორია

სვანეთის ტერიტორიაზე ადამიანის არსებობის კვალი ჯერ კიდევ ნეოლითური ხანით თარიღდება, ძვ.წ-ით VIII-VII ათასწლეული. ნეოლითური ნამოსახლარები გვხვდება ლანგერში-ზემო სვანეთი და ცხმელური - ქვემო სვანეთი. ბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ IV-I ათასწლეულებს შორის სვანეთში უკვე მსხვილი ნამოსახლარი ჩნდება.

სვანები თავდაპირველად უფრო დიდ ტერიტორიაზე იყვნენ დასახლებულნი და მოიცავდნენ თანამედროვე ლეჩხუმის, აფხაზეთისა და რაჭის მნიშვნელოვან ნაწილს. ისინი ასევე ბინადრობდნენ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე. სტრაბონის ცნობით, სვანები ცხოვრობდნენ კავკასიონის მწვერვალებზე, დიოსკურიის ზემოთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც იყვნენ დასახლებულნი. სვანები ცხოვრობდნენ ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშიც, კერძოდ მდინარეების - თერგისა და ყუბანის სათავეებში, რაზეც მეტყველებს სვანური ტოპონიმები.

სვანეთი ისტორიულად სხვადასხვა თემად იყო დაყოფილი. ქვემო სვანეთი, რომელსაც სამეგრელოს მთავრები განაგებდნენ, შედგებოდა სამი განსხვავებული თემისაგან - ლენტეხი, ჩოლური და ლაშხეთი. მეორეს მხრივ, ზემო სვანეთი, რომელიც ბალის ქედით ორ ნაწილად იყო გაყოფილი, შედგებოდა თორმეტი განსხვავებული თემისაგან. ბალის ქვემო სვანეთი დადეშქელიანების სამფლობელოში იყო და მოიცავდა ეწერის, ფარის, წუმრისა და ბეჩოს თემებს. სვანეთის დარჩენილი რვა თემი თავისუფლ თემებად ითვლებოდა და მოიცავდა ლატალს, ლანგერს, მესტიას, მულახს (მულახ-მუზალს), წვირმს, იფარს, კალას და უშგულს.

სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც დიდ ღირებულებას წარმოადგენს. სვანეთის დარბაზული ეკლესიიების უმეტესობა ქართული ხელოვნების საგანძურია, მათ შორის მოჭედილ-მოხატული ხატები, მოჩუქურთმებული ხის კარი, ამოტვიფრული ხელნაწერები, ჯვრები საკურთხეველთან და გარეთ და ასევე კედლის მხატვრობა, ფერწერის ნიმუშები. გარდა ამისა, სვანეთში თითოეულ თემს ჰქონდა თავისი კოშკი, რომელსაც თავდაცვის მიზნით აშენებდნენ. იგი თავად თემის მონაწილეობით შენდებოდა. 1936 წელს მესტიაში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში უნიკალური ნივთების აღმოჩენის საფუძველზე შეიქმნა მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 1970 წელს კი მესტიის ძველი უბანი ნაკრძალად გამოცხადდა. 1971 წელს უშგულ-ჩაჟაშის ნაკრძალი შეიქმნა, რათა შენარჩუნებულიყო სვანური არქიტექტურა. 1996 წელს უშგული (4 მაღალმთიანი სოფლის თემი) მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს, როგორც მსოფლიოს უნიკალური ღირებულების კულტურულ-არქიტექტურული ძეგლი, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედი და ცოცხალია სვანურ ეთნოგრაფიაში.

2.2 ტურიზმი სვანეთში

პირველად ტურისტები სვანეთში მე-19 საუკუნეში გამოჩნდნენ და სვანები მათ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით დახვდნენ, რაზეც მოგზაურთა ჩანაწერებიდან და ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ. კომუნიზმის ეპოქაში, სვანეთი თანდათან უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა საბჭოთა რესპუბლიკებში. ევროპელ ტურისტებს ჰქონდათ გაბედული მცდელობები ჩასულიყვნენ სვანეთში, თუმცა საბჭოთა მმართველობა და უშიშროება მათ ამის უფლებას არ აძლევდა. საბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებდა ე.წ „ტურბაზის“ ტიპის სასტუმროები, რომლებიც საკმაოდ კარგად ერწყმოდა იმ პერიოდის კულტურას. ნელ-ნელა ადგილობრივებმა აღმოაჩინეს რომ მთასვლელებთან და რუს ტურისტებთან ურთიერთობა დადებითი გამოცდილება იყო. ზურგჩანთამოკიდებული ტურისტების ძალიან დიდი რაოდენობა ზაფხულის მოახლოებასთან ერთად იწყებდა კავკასიის უღელტეხილებისკენ მოგზაურობას. . 1990-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად შიდა ტურისტული ლაშქრობები შეწყდა და თანდათანობით მოხდა მისი ჩანაცვლება საერთაშორისო თუ ადგილობრივი მოგზაურებით

2007 წლიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა ზემო სვანეთში, რაც მიზნად ისახავდა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობას და ასევე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მასშტაბური პროექტები სვანეთში, მათ შორის ქალაქ მესტიის ურბანული რეაბილიტაცია და მისი ისტორიული უბნების აღდგენა-კონსერვაცია, ზუგდიდი-მესტიის დამაკავშირებელი მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია და ახალი გზის გაყვანა, მესტიის აეროპორტის მშენებლობა, მესტიის ურბანული კეთილმოწყობა, ჰაწვალის მთის და თეთნულდის სათხილამურო საბაგირო კომპლექსების მშენებლობა, ჰაწვალის სათხილამურო ზონის მესტიასთან დამაკავშირებელი საბაგირო და უშგული-მესტიის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, მესტიის მუზეუმის სრული რეკონსტრუქცია. გარდა ამისა,

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 100-მდე ისტორიულ კოშკს, აშენდა ან რეაბილიტირებულ იქნა ჰიდროენერგეტიკული ობიექტები და ელექტროგადამცემი ხაზები.

ქვემო სვანეთში ამბროლაური-ცაგერი-ლენტეხის საავტომობილო გზას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, უშგული-ლენტეხის უღელტეხილის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის აღდგენა და სრული რეაბილიტაცია ჯერ კიდევ მიმდინარეობს და დასრულდება 2024 წელს. დაბა ლენტეხის ცენტრალური მოედანსა და ცენტრალურ ტერიტორიაზე მიმდინარეობს კეთილმოწყობის საუშაოები, რეკონსტრუქცია კი დასრულებულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ინვესტიციების ცდება ტურიზმის ფარგლებს და მიზნად ისახავს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების ხელშეწყობას. ასევე მზადდება სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, სვანეთის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის მიზნით. ფრთხილი და დაბალანსებული მიდგომა აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიებთან, ისტორიულ ძეგლებთან, სოციალურ გარემოსთან და ძველ ტრადიციებთან მიმართებაში.

2.2.1 ადგილმდებარეობა და კავშირები



სვანეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ამავდროულად კავკასიონის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს. მას აღმოსავლეთით რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით სამეგრელო-ლეჩხუმი, ხოლო დასავლეთით აფხაზეთი. ჩრდილოეთ მისი მოსაზღვრეა ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი.

რუკა 1: სვანეთის მდებარეობა

საგზაო-სატრანსპორტო ქსელი

ზემო სვანეთის ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტი ზუგდიდი-მესტიის 138 კმ-იანი გზაა, რომელიც სატრანსპორტო ნაკადის უდიდეს ნაწილს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ გზის მდგომარეობა ზოგადი შეფასებით ნორმალურია, ხშირი მეწყერი და ქვათაცვენა აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას. შესაბამისად, საჭიროა რეგულარული მოვლა და გაწმენდა, მათ შორის ზამთარში თოვლისგან გასუფთავება. ტურისტული ჯგუფების დაახლოებით 95% ამ გზით მოგზაურობს სვანეთში, რომლის გავლას ზუგდიდიდან საშუალოდ 3-4 საათი სჭირდება. თბილისიდან მანქანით ან ავტობუსით მგზავრობას დაახლოებით 8-9 საათი, ხოლო ქუთაისის აეროპორტიდან მგზავრობას 4-5 საათი. ასევე ყოველდღიურად სრულდება ფრენები თბილისიდან ქალაქ მესტიის მიმართულებით, რომელიც რეგიონის მთავარი კარიბჭეა.

ქვემო სვანეთში ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტი ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის 89 კმ-იანი გზაა, რომლის გავლას ქუთაისიდან დაახლოებით 2 საათი სჭირდება. გარდა ამისა, 2021 წელს გაიხსნა თბილისი-რაჭის დამაკავშირებელი ახალი 51 კილომეტრიანი გზა, რომელიც საჩხერიდან ონისა და ამბროლაურის გავლით ლენტეხამდე მიდის. თბილისიდან ლენტეხამდე სამანქანო გზას სჭირდება 5-6 საათი.

სვანეთში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არსებობს და ვიზიტორები გადაადგილებისთვის კერძო მანქანებს, ტაქსის ან საერთო მიკროავტობუსებს იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ გზები კარგ მდგომარეობაშია, ვიზიტორებმა უნდა იცოდნენ, რომ ზოგიერთი გზა შეიძლება იყოს ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, ამიტომ აუცილებელია მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ მართვისას ან მინივენით მგზავრობისას.

რეგიონში მოგზაურობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა ფეხით მოგზაურობაა, რადგან ბევრი ღირსშესანიშნაობა და ისტორიული ძეგლი მდებარეობს ისეთ ადგილებში, სადაც მისვლა მხოლოდ ფეხით ან ცხენით არის შესაძლებელი. სალაშქრო ბილიკები საკმაოდ კარგად არის მონიშნული თუმცა მოგზაურებს ხშირად ურჩევნიათ ადგილობრივი გიდების დაქირავება.

მონაცემი 1: სახმელეთო ტრანსპორტი რეგიონში

ტრანსპორტი	ხელმისაწვდომობა	აღწერა
ავტობუსები	ხელმისაწვდომია დიდ და პატარა ქალაქებში	ავტობუსები სვანეთში გადაადგილების პოპულარული საშუალებაა, ისინი რეგულარულადაა ხელმისაწვდომი დიდ და პატარა ქალაქებში. თუმცა, სერვისის სიხშირე იზღუდება ზოგიერთ რეგიონში და განრიგიც ცვალებადია.
მატარებლები	არ არის ხელმისაწვდომი სვანეთში	სვანეთში არ მოძრაობს მატარებელი. უახლოესი მატარებლის სადგური მდებარეობს ზუგდიდში, რომელიც მესტიიდან 140 კილომეტრით არის დაშორებული. ზუგდიდიდან სვანეთამდე შესაძლებელია ავტობუსით ან ტაქსით მგზავრობა.
მანქანის გაქირავების კომპანიები	ხელმისაწვდომია მთავარ ქალაქებში	მანქანების გაქირავების კომპანიები ხელმისაწვდომია, როგორც დიდ, ისე პატარა ქალაქებში.ეს სერვისი ვიზიტორებს დამოუკიდებლად გადაადგილების საშუალებას აძლევს . რეგიონის მაღალმთიან სოფლებში გზების მდგომარეობა უმეტესად არის ცუდი, ამდენად, დამოუკიდებლად მოგზაურობისას აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა..
ტაქსები	ხელმისაწვდომია მთავარ ქალაქებში	ტაქსი სვანეთის რეგიონში გადაადგილების მარტივი საშუალებაა, ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ, მრიცხველიანი ტაქსით, ასევე შესაძლებელია მძღოლთან სიტყვიერი შეთანხმება. ამ ვითარებაში გარკვეულ პრობლემას ქმნის უცხო ენის არცოდნა. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ის რომ მძღოლებმა შეიძლება არ იცოდნენ ინგლისური.

საზიარო ტაქსები, მარშუტკები	ხელმისაწვდომია დიდ და პატარა ქალაქებში	„მარშუტკები“ - მინი-ავტობუსები ი მოძრაობენ ფიქსირებულ მარშრუტებზე რეგულარული გრაფიკით. უარყოფითი მხარეა ხალხმრავლობა და ტრანსპორტის ხარისხი და ხშირი დაგვიანება.
ტრანსფერები	შესაძლებელია დაქირავება წინასწარი მოლაპარაკებით	პირადი ტრანსფერების დაქირავება, როგორიცაა საექსკურსიო ავტობუსები ან კერძო მანქანები შესაძლებელია ტუროპერატორის ან მასპინძელი სასტუმროს დახმარებით. მსგავსი სერვისი მისაღებია პერსონალურად გადაადგილების მსურველ ვიზიტორთათვის. ვ

საჰაერო წვდომა

მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი ახორციელებს შიდა ფრენებს. რელიეფის გამო საკმაოდ პატარა - 1.2კმ-იანი ასაფრენი ბილიკი აქვს. იგეგმება ტერმინალისა და ასაფრენი ბილიკის გაფართოება . დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მხოლოდ 18-25 მგზავრის ტევადობიან რეისების მიღება. ფრენების განრიგი განსხვავდება სეზონების მიხედვით. ფრენა შესაძლებელია გაუქმდეს ამინდის გაუარესების გამო. რეგულარული ფრენები ნატახტრიდან ხორციელდება, მაგრამ როდესაც პიკის სეზონია, ქუთაისიდან და ბათუმიდანაც სრულდება 1-2 ფრენა მაქსიმუმ 50 მგზავრით დღეში, რაც სამწუხაროდ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას. რაც შეეხება სპეც. ფრენებს, მისი განხორციელაბა შესაძლებელია ეკონომიკის სამინისტროსა და საავიაციო დეპარტამენტის დახმარებით.

ფრენის დრო ნატახტრიდან სვანეთამდე დაახლოებით 1 საათია, რაც ძალზედ ხელსაყრელია მოგზაურებისთვის დროის დაზოგვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სამინისტრო ამ რეგულარული ფრენების ღირებულების 50%-ს (90 ლარი) ასუბსიდირებს. ამბროლაურის აეროპორტი, რომელიც მდებარეობს ლენტეხიდან 70 კმ-ში, არის ლენტეხთან მდებარე უახლოესი აეროპორტი (დაახლოებით 1,5 საათის სავალზე მაქანით). ნატახტრიდან ამბროლაურის მიმართულებით და პირიქით რეისები კვირაში ორჯერ არის შესაძლებელი და თითო რეისი 50 ლარი ღირს. 1990 წლამდე, ჩიხარეშის აეროპორტში ფუნქციონირებდა ბალახიანი ასაფრენი ბილიკი პატარა თვითმფრინავებისთვის. ლენტეხიდან დაახლოებით 10 კმ-ში მდებარე ამ აეროპორტის განახლების გეგმას საქართველოს მთავრობა ისევ განიხილავს.

ქვეყნის საავიაციო რეგულაციები იძლევა საშუალებას, რომ კერძო თვითმფრინავებმაც ისარგებლონ ამ აეროპორტით, რაც რეგიონს მიმზიდველს ხდის მაღალი მატერიალური შესაძლებლობების მქონე სტუმრებისათვის. ამავდროულად, ნატახტრის აეროპორტს შეუძლია კერძო ტურების განხორციელებაც. ეს კიდევ ქმნის შესაძლებლობას ვერტმფრენით მოეწყოს სათხილამურო-სათავგადასავლო ტურისტული აქტივობებიმესტიის აეროპორტიდან, რაც წარმოადგენს ზამთრის ნიშურ ტურიზმს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი აქტივობები საკმაოდ ძვირადღირებული და ექსკლუზიური სერვისებია, მოთხოვნა მაინც მაღალი და მზარდია.

მონაცემი 2: ადგილობრივი რეგიონალური ფრენები

ადგილობრივი კომპანია	აეროპორტი	მიმართულება	ფრენების რაოდენობა	ღირებულება ლარში
Vanilla Sky	ნატახტარი	მესტია	1 ფრენა დღეში (შაბათის გარდა)	90
	ბათუმი	მესტია	1 ფრენა დღეში (შაბათის გარდა)	125
	ქუთაისი	მესტია	2 ფრენა კვირაში	50
	ნატახტარი	ამბროლაური	2 ფრენა კვირაში	50

საერთაშორისო კავშირები

უახლოესი საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც ზემო და ქვემო სვანეთთან ყველაზე ახლოსაა, არის ქუთაისის აეროპორტი. აქედან მესტიამდე მგზავრობას დაახლოებით 4-5 საათი უნდა, ხოლო ლენტეხამდე 2 საათი. აღნიშნულ აეროპორტს დაახლოებით 600 მგზავრი გადაჰყავს საათში, მისი წლიური ზდის ტემპი კი 35%-ია. უნდა ითქვას, რომ მთიანი რელიეფისა და ცუდი ამინდის გამო მესტიის მიმართულებით ფრენები ხშირად უქმდება. აუცილებელია თანამედროვე სანავიგაციო სისტემა, რომელიც დაეხმარება პილოტს ცუდი ხილვადობის პირობებშიც უსაფრთხოდ მართოს თვითმფრინავი.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სვანეთის ტურიზმის პოპულარიზაციაში. აეროპორტი ახორციელებს დაბალბიუჯეტურ ფრენებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ასევე არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სამიზნე ბაზრებს სწორედ ეს რეგიონები წარმოადგენს, რადგან ტურისტული ნაკადი აქტიურად იზრდება ამ ქვეყნებიდან. სწორედ ამ ჯგუფების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი ქვეყნები, რომლებსაც შეუძლიათ სვანეთში სამოგზაუროდ ჩამოსასვლელად არ დასჭირდებათ 12 საათზე მეტი.

საქართველოში ტურისტულ მოგზაურობებზე მოთხოვნა უპრეცენდენტო ტემპით იზრდება განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. მოგზაურობის სურვილი 2016 წლიდან მატულობს და 2022 წლისთვის უცხოელი ვიზიტორების 11%-ს შეადგენს. ასევე გაიზარდა სტუმართა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებიდან და იგი 6%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ტურისტების შედარებით დაბალი რაოდენობა ფიქსირდება, განვითარების ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ ამ რეგიონებიდან მეტი ვიზიტორის მოზიდვაა შესაძლებელი. მაგალითად, 2022 წელს საქართველოს 271 266-მდე ვიზიტორი ეწვია ევროკავშირიდან. აქედან უმეტესობა, დაახლოებით 41917 პოლონეთიდან იყო ჩამოსული. 2019-2020 წლებში ტურისტული მიზნით 5,3 მილიონი პოლონელი ეწვია. საზღვარგარეთ შვებულების მოწყობისას პოლონელები ყურადღებას ამახვილებენ ახალი ადგილების აღმოჩენაზე(74%), უსაფრთხო გარემოსა (67%) და მოგზაურობის ხელმისაწვდომობაზე(67%). ქუთაისის აეროპორტიდან პოლონეთის მიმართულებით ფრენები ექვს სხვადასხვა მიმართულებას ასრულებს, მგზავრობის საერთო დრო 4 საათია. მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლონური ბაზრის 0,8% აქვს გამოყენებული, სვანეთს კი უფრო ნაკლები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია რამდენიმე ფრენა, რომელიც სრულდება საქართველოს სამ საერთაშორისო აეროპორტში. ფრენის ხანგრძლივობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისის აეროპორტი უნდა გახდეს მთავარი კარიბჭე უცხოელი ტურისტებისთვის, რომლებსაც სვანეთში მოგზაურობა სურთ.

მონაცემი 3: ფრენების ნიმუში, რომელიც სრულდება საქართველოს 3 საერთაშორისო აეროპორტში.

საერთაშორისო მიმართულება (-დან-სად)	ფრენის დრო	მგზავრობის ხანგრძლივობა
ვარშავა-მესტია/ლენტეხი	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 3სთ 30 წთ	ქუთაისი-მესტია 5 სთ ქუთაისი-ლენტეხი 2 სთ
ბერლინი-მესტია/ლენტეხი	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 3სთ 45 წთ	ქუთაისი-მესტია 5 სთ ქუთაისი-ლენტეხი 2 სთ
ათენი - მესტია/ლენტეხი	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 2სთ 35 წთ	ქუთაისი-მესტია 5 სთ ქუთაისი-ლენტეხი 2 სთ
პარიზი-მესტია ლენტეხი	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 4სთ 30 წთ	ქუთაისი-მესტია 5 სთ ქუთაისი-ლენტეხი 2 სთ
აბუ დაბი - მესტია/ლენტეხი	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 3სთ 50 წთ	ქუთაისი-მესტია 5 სთ ქუთაისი-ლენტეხი 2 სთ
სტამბული-მესტია/ლენტეხი	ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი - 1სთ45 წთ	ბათუმი-მესტია 5სთ 30 წთ ბათუმი-ლენტეხი 4 სთ
თელა-ვივ - მესტია/ლენტეხი	ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი - 1სთ45 წთ	ბათუმი-მესტია 5სთ 30 წთ ბათუმი-ლენტეხი 4 სთ
დუბაი - მესტია/ლენტეხი	თბილისის საერთაშორისო აეროპორტი - 3სთ 20 წთ	თბილისი - მესტია 8 სთ თბილისი-ლენტეხი 5სთ 30 წთ

რუკა 2: ქუთაისის აეროპორტის მიმართულებები



რუკა 3: თბილისის აეროპორტის მიმართულებები



Figure 10. Air border crossings by Airports ('000)



Figure 11. Number of Flights by Georgia's International Airports ('000)



Figure 12. Shares of Airlines by Number of Passengers, 2021



Source: Georgian National Tourism Administration; Georgian Civil Aviation Agency
*YoY changes for 2022 are calculated by using 11 Month levels in 2021

2.2.2 ტურისტული ღირშესანიშნაობები

მესტია და ლენტეხი სვანეთის რეგიონის მთავარი ტურისტული მიმართულებებია. დღესდღეობით, მესტია უფრო ცნობილი და პოპულარულია მოგზაურთათვის თავისი შუა საუკუნეების კოშკებით, საოცარი პეიზაჟებითა და სათხილამურო ადგილებით. ვიზიტორებს შეუძლიათ დაათვალიერონ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, დალაშქრონ მთები, ისიამოვნონ ჰაწვალის

მთიდან გადაშლილი თვალწარმტაცი ხედებით. ლენტეხი უფრო პატარა და იზოლირებული ადგილია დაბუნების მოყვარულებს მშვიდ დასვენებას სთავაზობს. ორივე მიმართულება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ადვილად მისადგომია, ამიტომ შესაძლებელია ქუთაისი განვიხილოთ ზემო და ქვემო სვანეთში მოგზაურობის საწყის წერტილად.

სვანეთის მიმზიდველობას მისი უნიკალურობა და მრავალფეროვნება განაპირობებს, რომელიც ვლინდება კულტურული, ეთნოგრაფიული, არქიტექტურული, ფოლკლორული და ბუნებრივი მემკვიდერობის სახით და სცდება მესტიასა და ლენტეხს. თითოეულ ხეობასა და გვარს საკუთარი ისტორია აქვს და თითქოს ეკოსისტემაც თითოეულ მათგანში განსხვავებულია. ერთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ კონტექსტში სვანეთის ისტორიული თემები მკაფიოდ არის გამოხატული და ისინი ხშირად გვხვდება კონკრეტული ხეობის გეოგრაფიული საზღვრებით განსაზღვრული.

მესტია - UNWTO საუკეთესო ტურისტული სოფელი 2022 წ.

მესტია სვანეთის მთავარი კარიბჭე და ტურისტული ადგილია. ეს არის გარე სათვგადასავლო აქტივობების კერა - ლაშქრობა, ჯირითი, თხილამურებით სრიალი და მთასვლელობა. სტუმრებს შეუძლიათ დაიქირაონ ადგილობრივი გიდები და აღჭურვილობა, რათა დაათვალიერონ განსაცვიფრებელი ბუნება და დატკბნენ კავკასიონის პანორამული ხედებით. აგრეთვე შესაძლებელია საფეხმავლო ბილიკით სეირნობა და სვანური კულტურის გაცნობა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დათვალიერებით, ან რეგიონის ისტორიული ეკლესია-კოშკების მონახულებით. მესტია სტუმრებს სთავაზობს გასაჩერებელ ადგილებს საოჯახო სასტუმროებიდან დაწყებული ძვირადღირებული სასტუმროებით დამთავრებული, რომლებიც ყველა ბიუჯეტს ერგება.

მიუხედავად იმისა, რომ მესტია ადვილად მისადგომია საავტომობილო ან საჰაერო გზით, რეგიონში ტრანსპორტირების ვარიანტების გაუმჯობესების საჭიროება კიდევ არსებობს. საგზაო პირობების გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატება მოსახლეობისა და სტუმრების გადაადგილებას გაამარტივებს . ტურისტული შეთავაზებების მრავალფეროვნება ასევე გულისხმობს სვანურ სამზარეულოს და ტრადიციულ ხელნაკეთობებს, ასევე საინტერესოა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურისტული ბაზრის განვიტარება. რამდენადაც მესტიაში ტურისტული ნაკადების ზრდა უახლოვდება პანდემიამდელ დონეს, აუცილებელია უზრუნველვყოფილ იქნასრეგიონის კულტურული და ბუნებრივი რესურსების დაცვა. შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამატებითი ზომების მიღება, როგორიცაა ვიზიტორთა რაოდენობის შეზღუდვა, კულტურულ-ისტორიული გარემოს დაცვა-მდგრადი გამოყენების მიზნით და და ეკო-მეგობრული ინფრასტრუქტურის განვითარება.
მესტიის ლენტეხთან დაკავშირება შექმნის ახალ წრიულ მარშუტებს, რომლებიც შეიძლება დაიწყოს ენგურის ხეობიდან და მივიდეს უშგულამდე, ხოლო შემდეგ გაგრძელდეს ცხენისწყლის ხეობის გავლით ლენტეხამდე. ამან შეიძლება შექმნას ერთ-ერთი უნიკალური

7-დღიანი მოგზაურობა, რომელიც იქნება უფრო მრავალფეროვანი, ინფორმაციული და კომფორტული მგზავრობისთვის. ამჟამად აღნიშნულ გზას ლიმიტირებული რაოდენობის ტურისტი გადის, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა როგორც „ოფროუდ“ გზას ისე იყენებს. მომავალში ამ გზის რეაბილიტაცია შეძლებს ტურისტების გაცილებით დიდი სეგმენტის დაინტერესებას. რა თქმა უნდა, გზის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი იქნება ქვემო სვანეთში ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა და სერვისების დანერგვა, რაც საფუძველს ჩაუყრის ტურისტებისთვის ხანგრძლივ და სასიამოვნო დასვენებას.

ლენტეხი

კავკასიონის მთების გულში მდებარე ლენტეხი არის მიმალული საგანძური, რომელიც აღმოჩენას ელოდება. მოგზაურებს შეუძლიათ იმოგზაურონ და მოინახულონ ხელუხლებელი ტყეები, ხეობები, მდინარეები და ისიამოვნონ ადგილობრივი მოსახლეობის გულთბილი დახვედრი. ლენტეხი იდეალური ადგილია მათთვის, ვინც ეძებს ავთენტურ გარემოს და დაუვიწყარ გამოცდილებას.

ქვემო სვანეთში/ლენტეხის მუნიციპალიტეტში საბჭოთა კავშირის დროს ქვეყნის ორი ყველაზე პოპულარული ალპინისტური ბანაკი ფუნქციონირებდა. ესენია ზესხო და აილამა. ამ ბანაკებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდათ და ყოველწლიურად ასობით ახალგაზრდა ეცნობოდა ალპინიზმის საფუძვლებს ასე ყალიბდებოდა „საბჭოთა ალპინისზმის სკოლა“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში ბანაკები დაიხურა. ბანაკების აღდგენა-განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლენტეხისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. თეთრი უცნობი, შავი უცნობი და აილამა ამ რეგიონის ყველაზე ცნობილი მწვერვალებია. ვიმედოვნებთ, რომ ბანაკების აღდგენა და მათი ახალი ფორმით ფუნქციონირება უმოკლეს ვადაში დაუბრუნებს ლენტეხს პოპულარობას. ად. საქართველოს მთავრობამ კონტრაქტი გააფორმა კვალიფიციურ ორგანიზაციებთან, რათა ჩატარდეს ამ შესაძლებლობების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს კერძო ინვესტორების მოზიდვას ან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დამყარებას ალპურ ბანაკებსა და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების აღორძინების მიზნით. ეს ეხება სახელმწიფოს ფლობელობაში მყოფ აილამას ბანაკს და კერძო მფლობელობაში მყოფ ზესხოს ბანაკს.

ქალაქ ლენტეხის შესასვლელში ისტორიული ციხესიმაგრის ნანგრევია. აქვე, კლდოვანი კონცხის გაგრძელებაზე ტრადიციული ციხეკოშკის ტიპის ნაგებობაში განთავსებულია ლენტეხის ისტორიულ-გეოგრაფიული მუზეუმი. ისტორიული კომპლექსის განლაგება კლდოვან კონცხზე იძლევა შესაძლებლობას, რომ ნანგრევების საკონსერვაციო სამუშაოების პარალელურად განახლდეს მუზეუმის საექსპოზიციო სივრცე და თანამედროვე მულტი-მედია საშუალებების გამოყენებით ციხეგალავანი გადაიქცეს ლენტეხის „სავიზიტო ბარათად“.

ხეობები, ისტორიული თემები და ტურისტული ზონები

სვანეთის ტურისტული მიმზიდველობის (დანიშნულების ადგილი) განსაზღრისას გამოყენებულია ცალკეული ისტროიული თემების განსახლების არეალები, რაც თავის მხრივ ემთხვევა ხეობების გეოგრაფიულ საზღვრებს. ამით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად ისტორიული თემის/ხეობოს ბუნებრივ და კულტურულ-ისტორიულ განსაკუთრებულობას და არა ცალკე მდგომ ფიზიკურ ობიექტებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ხეობა, რომელიც პოპულარულია მრავლდღიანი ლაშქრობისა და მთამსვლელობის მოყვარულთათვის. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში აუცილებელია სამოგზაურო ტიპის ინფრასტრუქტურის განვითარება (ბილიკების მარკირება, გადასასველეიბის/ხიდების მოწყობა, ღამისსათევი ბივუაკების/ქოხების აშენება. ცალკეული ხეობები, როგორებიცაა ჭუბერი, ნაკრა, ფარი, ბეჩო, მესტია, მულახი, კალა, ადიში და უშგული ერთმანეთთან დაკავშირებულია ისტორიული ბილიკებით, რაც საერთო ჯამში ისტორიული და ახალი ბილიკების ერთიან უნიკალურ ქსელს ქმნის. ხეობებმა, ისტორიულმა თემებმა და მათთან დაკავშირებულმა „ღერძულმა ბილიკებმა“ უნდა განაპირობონ სვანეთის საუკეთესო ტურისტული ზონები.სწორედ ასე შეიძლება განვითარდეს სვანეთში მრავალდღიანი საფეხმავლო, სათხილამურო, საცხენოსნო, ველო თუ სამანქანო მარშრუტების ქსელი რაც დაემატება ან ჩაანაცვლებს ამჟამად არსებულ სტანდატრტულ 2-3 დღიანი ტიპური საავტომობილო ექსკურსიების.

კონკრეტული ხეობების მოკლე მონახაზი
ზემო სვანეთი

1. ჭუბერის ხეობა - სამთო გზა აკავშირებს ნაკრისა და ჭუბერის ხეობებს;
2. ნაკრას ხეობა - სამთო გზა აკავშირებს ნაკრას ხეობას ფარის თემთან, ეს არის გზის მონაკვეთი სოფ. ნაკრას, სოფ. ფარის, დოლრას ხეობასა და სოფელ მაზერს შორის, რომელიც ბახის უღელტეხილზე მდებარეობს;
3. დოლრას უღელტეხილი - ბილიკი გადის მაზერიდან მყინვარი დოლრასა და მთა უშბის პლატოზე. მესტიასთან დამაკავშირებელი მთის ბილიკი გადის მთავარანგელოზის ეკლესიაზე და გაივლის მესტიის გულს;
4. მესტიაჭალის ხეობა, ჭალაადი, ლეხზირი, ლეხზირის მყინვარები და მთის ბილიკი მიდის მულახის თემთან;
5. მულახის თემი და მთის ბილიკი გადის ადიშში, იფარსა და კალის თემებში. წანერის, ადიშის და ხალდეს მყინვარები დაკავშირებულია ხეობებთან და მწვერვალ თეთნულდთან;
6. კალა - ხალდეს მყინვარი - უშგული;
7. უშგულის თემი და შხარას მყინვარწვერი;
8. ადიში, ადიშის მყინვარისა და მწვერვალ თეთნულდის მისადგომები;

ქვემო სვანეთი

ქვემო სვანეთში ჯერჯერობით არ არის ბილიკების მსგავსი ინტენსიური ქსელი. მნიშვნელოვანია, მისი დაკავშირება ერთის მხრივ ზემო სვანეთთან (დასავლეთით), ხოლო მეორეს მხრივ ლეჩხუმსა და რაჭასთან (აღმოსავლეთით).

9. ხელედური

10. ლენტეხი

11. ჭოლური

12. ჯახუნდერი

13. ჭიხარეში

14. რცხმელური

15.ცანა

რუკა 4: ხეობები და ისტორიული თემები სვანეთში



დოლრას ხეობის მაგალითი

დოლრას ხეობში შედის სოფლები - დოლასვიფი, უშხვანარი, ბეჩო და მაზერი, რომლებიც მთავარი ტურისტული ცენტრებია. ხეობას ესაზღვრება მდინარე დოლრა და მყინვარები - დოლრა და უშბა. მწვერვალი უშბა არის ხეობის სიმბოლო, რომლის დალაშქვრის შესახებაც არა ერთი მითი თუ ისტორია არსებობს. მთავარი შესასვლელი გადის სოფელ ბეჩოში, ხოლო მეორე შესასვლელი სოფელ დოლასვიფში. ყველაზე პოპულარული მიმართულება დოლრას ხეობაში არის ბილიკი, რომელიც მდინარის გასწვრივ გადის და მიემართება ბეჩოს უღელტეხილისკენ (სამწუხაროდ, ბეჩოს უღელტეხილი, რომელიც რუსეთის საზღვარზე მდებარეობს, აღარ არის საფეხმავლო). რამდენიმე ღერძული მარშუტი მოიცავს ბახის უღელტეხილსა და მაზერის ბილიკს, რომელიც აკავშირებს ბეჩოს ფარის თემთან.. ამ ბილიკის გაგრძელება გადადის გულის უღელტეხილზე და მთავრდება მესტიაჭალაში და საერთო ჯამში ქმნის საინტერესო მრავლდღიან სამთო ბილიკების ქსელს.

დოლრას ხეობა ვიზიტორებს სთავაზობს განსაცვიფრებელ ბუნებრივ ღირსშესანიშნაობას - შხელდის (შდუგრის) ჩანჩქერსა და უშბის მყინვარს (რაც ორივე ხეობის ბილიკის მთავარი ღირსშესანიშნაობაა), ასევე გულის უღელტეხილსა და ქურულდის ტბებს. ალპინისტური თვალსაზრისით ეს განსაკუთრების საინტერესო მხარეა. აქედან იწყება მწ. უშბის რამოდენიმე კლასიკური მარშრუტი, მათ შორის 4a და 6b- კატეგორიის სირთულის მარშრუტები ჩრდილოეთ და სამხრეთ მწვერვალზე (სამხრეთ-დასავლეთი კედელი, სამხრეთი კედელი). ზამთრის პერიოდში შესაძლებელია სათხილამურო (სკი-ტური) მარშრუტების გავლაც და ჰელისკის ოპერირებაც.

ხეობაში რამდენიმე თავშესაფარია, მათ შორის არის მონადირეთა ქოხი შხელდის ჩანჩქერის ბილიკის დასაწყისში, ზაფხულობით ბეჩოს უღელტეხილის ბილიკის დასაწყისში გვხვდება მწყემსების ბინები. რამდენიმე საოჯახო სასტუმრო მდებარეობს ბეჩოს თემში და სოფელ მაზერში. ერთ-ერთი ასეთი სასტუმროა სასტუმრო „გრანდ ჰოტელ უშბა“ რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ადგილმდებარეობით და ტრადიციული მასპინძლობით.
რეკომენდაციები: 1) აღდგეს მონადირეთა ქოხი შხელდის ჩანჩქერის მარშუტის გადასახვევში 2) აშენდეს თავშესაფარი და მოწესრიგდეს ფერმები; 3) ხეობის შესასვლელთან შეიქმნას 2-3 საკარვე და საპიკნიკე ადგილი; 4) უშბას მყინვარის შესასვლელთან აშენდეს მთამსვლელთათვის თავშესაფარი-ქოხი.

2.2.3 ტურისტული პაკეტები

ზემო და ქვემო სვანეთის მონახულება ხშირად შედის საქართველოს ერთიან სამოგზაურო პაკეტების შემადგენლობაში. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის 3-5 დღიანი მოგზაურობა, რომელიც არის საერთო (10-14) დღიანი მოგზაურობის შემადგენელი ნაწილი. ტიპოლოგიის მიხედვით ასეთი მოგზაურობა იზიდავს მეგობართა ან ოჯახთა საშუალო ზომის ჯგუფებს ეს "ძირითადი" ჯგუფები შეადგენენ ვიზიტორთა ნახევარს და მათი მარშრუტები კლასიფიცირებულია, როგორც მარტივი და საშუალო სირთულის მქონე და არ ითხოვს ძლიერ ფიზიკურ მომზადებას.

ცხრილი 4: სვანეთი საქართველოს სამოგზაურო მარშუტებში

პაკეტის დასახელება	შემადგენელი ლოკაციები	დროის ხანგრძლივ ობა	მოგზაურთა სეგმენტები
მოგზაურობა კავკასიის მთიანეთში	თბილისი, მცხეთა, ყაზბეგი, მესტია, ლენტეხი	10 დღე	თავგადასავლების მაძიებლები, ბუნების მოყვარულები
საქართველოს გამორჩეული ადგილები	თბილისი-კახეთი-ქუთაისი-სვანეთი-ბათუმი	10 დღე	ოჯახები, წყვილები, დამოუკიდებელიმოგზაურები
კულტურულ-ისტორიული ტურები	თბილისი, მცხეთა, უფლისციხე, ვარძია, სვანეთი	8 დღე	ისტორიისა და კულტურის მოყვარულები
მთები და სანაპიროები ზღვიდან მყინვარებამდე	თბილისი, მესტია, ბათუმი	7 დღე	თავგადასავლების მაძიებლები, ბუნების მოყვარულები
ზამთრის საოცრებათა ქვეყანა	თბილისი, ყაზბეგი, გუდაური, ბაკურიანი, სვანეთი	10 დღ	ზამთრის სპორტის მოყვარულები

ვიზიტორთა ის ნაწილი, რომლებიც მხოლოდ სვანეთში მოგზაურობენ, მცირეა მთლიანად ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობასთან შედარებით (მთლიანი ნაკადის 5-6%). ამ ჯგუფებში გაერთიანებული არიან სპეცილური ინტერესისა და უნარების მქონე მოგზაურები, რომლებსაც აინტერესებთ მთაში მრავლდღიანი მოგზაურობა ფეხით, ველოსიპედით, თხილამურით, ცხენით... ასევე განსაკუთრებული ინტერესი აქვთ ალპინიზმისა ან სამდინარო სპორტის მიმართ. ეს ტურისტული სეგმენტი საერთაშორისო ბაზარზე სწრაფი ზრდით და მაღალი გადახდისუნარიანობით გამოირჩევა. როგორც წესი ეს არის ახალგაზრდა ან საშუალო ასაკის მოგზაურთა ნაწილი (საერთო რაოდენობის 30-35%). მათ შორის არიან ექსკლუზიური (განსაკთრებით მაღალი ღირფებულების) და ექსტრემალური თავგადასავალის ინტერესების ჯგუფები (საერთო რაოდენობის 10-15%). ვიზიტორთა სწორედ ასეთი ჯგუფები წარმოადგენენ სვანეთის სამიზნე ბაზარს.

2.2.4 ტურიზმის სეზონურობა

რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ტურისტების რაოდენობისა და ინტერესების შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება რთულია. თუმცა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი DMO-ს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს მესტიამ მიიღო 136 223 ვიზიტორი (მათ შორის დაახლოებით 50% საერთაშორისო ვიზიტორი),. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონს ჰყავდა მხოლოდ 7445 საერთაშორისო ვიზიტორი, ლენტეხს კი დაახლოებით 1400 უცხოელი ესტუმრა. ამ მონაცემების მიხედვით მოგზაურთა დაახლოებით 90% სტუმრობს ზემო სვანეთს, მხოლოდ 10% მიდის ქვემო სვანეთში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განვითარდეს გზები და ტრანსპორტი, რომელიც ამ ორ რეგიონს დააკავშირებს და მეტ ტურისტს მოიზიდავს ზემო და ქვემო სვანეთში.

ასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელი მკვეთრად სეზონურია. სასტუმროების დატვირთვაზაფხულის სეზონზე უფრო აქტიურია (ზაფხული 70% - ზამთარი 30%). მონაცემები, რომლებიც სასტუმროს ზომაზეა დაფუძნებული, მიუთითებს, რომ დიდ სასტუმროებში დაჯავშნის კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე მცირე და საშუალოში. 2022 წლის მონაცემებით დიდი სასტუმროების დაჯავშნის სიხშირე საშუალოდ 59%-ს შეადგენს, ხოლო მცირე და საშუალო სასტუმროებისთვის 42%-ს.

სეზონურობის მაგალითი: ზაფხულის სეზონი.

ზაფხულის სეზონის განმავლობაში, მაისიდან-ოქტომბრამდე (პიკის სეზონი - ივლისიდან აგვისტომდე) პოპულარული ტურისტული აქტივობაა - მოკლე, ერთდღიანი საფეხმავლო ტურები, კულტურულ-ისტორიული ძეგლების მონახულება, საცხენოსნო ტურები, საფეხმავლო ლაშქრობები, მთამსვლელობა. ტურისტების რაოდენობი 70% ზაფხულის სეზონზე ჩამოდის, ხოლო დანარჩენი 30% სვანეთს ზამთარში სტუმრობს. მსგავსი სიტუაციაა მსოფლიოს სხვა სამთო რეგიონებში, მაგალითად ტიროლი, ავსტრიაში.

სვანეთი წელიწადის ყოველ დროს მომხიბვლელია, თუმცა ზაფხული განსაკუთრებულად მიმზიდველია მოგზაურთათვის. ზაფხულის განმავლობაში 25° ტემპერატურა, გამწვანებული და აყვავებული ბუნება, დათოვლილი მწვერვალები, საოცარი პეიზაჟები - სამოგზაუროდ კომფორტულ გარემოს ქმნის.

ზაფხულობით სვანეთში ხშირად იმართება ტრადიციული კულტურული ფესტივალები. ასეთ ღონისძიებებზე დასწრება ვიზიტორებს აძლევს საშუალებას უკეთ გაეცნონ ადგილობრივ ტრადიციებს, კულტურას, ეთნოგრაფიას. სვანეთი ასევე ცნობილია ბუნებრივ ცხელი წყაროებითა და მთის ნაკადულებით.

სეზონური მაგალითი: ზამთრის სეზონი

სვანეთში ზამთრის სათხილამურო სეზონი გრძელდება დეკემბრიდან აპრილამდე. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა როგორც სათხილამურო სპორტის მოყვარულთა რაოდენობა, ასევე იგი გახდა მრავალფეროვანი, იგულისხმება heli ski, ski tours, freestile, freeride… 2022-2023 წლებში მესტიამ უმასპინძლა Freeride World Tour-ის (FWT) საკვალიფიკაციო შეჯიბრებებს, რასაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. 2024 წლისთვის იგეგმება FWT challenge-ის ჩატარება, ხოლო შემდეგ წლებში - FWT-ის ძირითადი შეჯიბრებები.

ზამთარი სვანეთში განუმეორებელი სილამაზისაა. როდესაც მოთოვს და პეიზაჟი ზამთრის საოცრებად გარდაიქმნება, დამთვალიერებლებს შეუძლიათ დატკბნენ ზამთრის სპორტის სახეობებით, მათ შორის თხილამურებით სრიალითა და სნოუბორდით, მათთვის კი ვინც უფრო ექსტრემალურ სათავგადასავლო გამოცდილებას ეძებს, ვერტმფრენის დახმარებით გაუკვალავ თოვლში სრიალიც ხელმისაწვდომია. სათხილამურო ფერდობებზე გატარებული დღის შემდეგ, სტუმრებს შეუძლიათ დაისვენონ და დატკბნენ ტრადიციული ქართული სამზარეულოთი და სტუმართმოყვარეობით რეგიონში არსებულ მრავალ საოჯახო სახლსა თუ სასტუმროში.

ხანმოკლე დღეები და ტემპერატურის მინუსზე დაბლა დაცემა ზღუდავს გარემოს დათვალიერების დროს. სვანეთის ზოგიერთი პატარა სოფელი და ღირსშესანიშნაობა შეიძლება მიუწვდომელი გახდეს ზამთარში ძლიერი თოვლის, გზების გადაკეტვის ან ტრანსპორტის ვერ მისვლის გამო. სტუმრები უნდა იყვნენ მომზადებულნი თოვლიანი და ცივი პირობებისთვის, უმჯობესია სათანადოდ ჩაიცვან და წინასწარ შეამოწმონ მათი დაგეგმილი აქტივობები და მიმართულებები არის თუ არა ღია და ხელმისაწვდომი.

სეზონის გახანგრძლივების შესაძლებლობები

გარდამავალ ან დაბალი აქტივობის ტურისტულ სეზონებზე - აპრილი-მაისი, ოქტომბერი-ნოემბერი ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და მეტი ტურისტის მოსაზიდად მნიშვნელოვანია დაიგეგმოს და ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები: ზამთრის ფესტივალები, კულტურული და კულინარიული ღონისძიებები, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, სათხილამურო რბოლა, მთის მორბენალთა მარათონი, კინოფესტივალი, სეზონის გახსნისა და დახურვის ღონისძიებები. დაბალი აქტივობის ტურისტულ სეზონზე

ტურისტული კომპანიები ხშირად სთავაზობენ მოგზაურებს სპეციალურ პაკეტებს ფასდაკლებით. ამ საკითხებზე აქტიურად მუშაობენ მესტიის DMO, და ადგილობრივი ბიზნესი.

პასიური (დაბალი) სეზონის გააქტიურების საერთაშორისო მაგალითები:

სოლდენი, ავსტრიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სათხილამურო კურორტი. იგი რეგულარულად მასპინძლობს FIS (საერთაშორისო სათხილამურო ფედერაცია) მსოფლიო თასის სეზონის გახსნას, რომელიც გულისხმობს წლის (სეზონის გახსნა) პირველ სათხილამურო შეჯიბრის მასპინძლობას ალპიურ დისციპლინებში (სწრაფდაშვება, გიგანტური სლალომი) . სოლდენში FIS მსოფლიო თასის შეჯიბრის ეტაპები წლის უმნიშვნელოვანესი სტარტებია და ტურისტული სათხილამურო სეზონის გახსნას წინ უსწრებს. ყოველი წლის აპრილის შუა რიცხვებში (სეზონის დახურვა) სოლდენი მასპინძლობს ზამთრის სეზონის დახურვის თოვლის ფესტივალს, რომელიც აგრეთვე პოპულარული ღონისძიებაა მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისათვის. მაგალითად ფესტივალი „ჰანიბალი“ ჩვეულებრივ თვის ბოლო შაბათ-კვირას ტარდება და მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებსა და ღონისძიებებს, როგორც თოვლიან მთის ფერდობებზე, ისე მის გარეთ.

სამხრეთ ტიროლი - Dolomitenmann უნიკალური ღონისძიებაა, რომელიც აერთიანებს ოთხ განსხვავებულ დისციპლინას: სამთო რბოლა სიმაღლეში, სამთო ველოსიპედი, კაიაკინგი და პარაპლანი. რბოლა მიმდინარეობს ულამაზეს მთიან რელიეფზე პატარა ქალაქ ლიენცის გარშემო. შეჯიბრი ცნობილია თავისი რთული ტექნიკური სტილით. ღონისძიებაში მონაწილეობენ საუკეთესო სპორტსმენები მთელი მსოფლიოდან და ითვლება ევროპაში ექსტრემალური სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებად.

საქართველო - ამ ღონისძიებების მსგავსად, საქართველოში, კერძოდ, ყაზბეგში უკვე არსებობს პრაქტიკა მსგავსი სპორტული ღონისძიების ჩატარების. მაგალითად: ყაზბეგის სამთო რბოლა - „ყაზბეგის მარათონი“, ვარძიაში „Vardzia Challenge”, მყინვარწვერის სკი-ტური რბოლა და სხვა...

2.2.5 ღირსშესანიშნაობები და რეკრეაციული ზონები

ამ თავში მოცემულია სვანეთის რეგიონის სხვადასხვა მატერიალური და არამატერიალური ძეგლებისა და მიმდებარე ისტორიული გარემოს მიმოხილვა, ზემო და ქვემო სვანეთში მიმდინარე ზამთრის და ზაფხულის სეზონის ტურისტული პროდუქტების, საინტერესო ადგილების, სერვისებისა და მოვლენების შეფასება.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

მაღალმთიანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სვანეთმა შეძლო ისტორიული იდენტობის შენარჩუნება და ამით უნიკალურ ადგილად იქცა. ეს ფენომენი გამოიხატება ტრადიციულ დღესასწაულებში, მთის სოფლების არქიტექტურა-დაგეგმარებაში, მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობის ძეგლებში. მდიდარი კულტურა უმნიშვნელოვანესი ტურისტული რესურსია, ამიტომ ამ შესაძლებლობის განვითარება, ხელშეწყობა და შენარჩუნება პრიორიტეტულია.

სვანეთშე საქართველოს ძეგლთა ნუსხის მიხედვით რეგისტრირებულია უძრავი კულტურული მემკვიდრეობის 608 ძეგლი, მათ შორის არის 100-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი, სადაც განთავსებულია 1300-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი. ამავდროულად ბევრი პატარა დარბაზული ეკლესია ინახავს ქართული ხელოვნების საგანძურს, როგორებიცაა: ხატწერის ნიმუშები, უძველესი ხელნაწერები, ოქრომჭედლობა, კედლის მხატვრობა და ხეზე სვანი ოსტატების მიერ შესრულებული ჩუქურთმები. აქ მდებარეობს დაახლოებით 200-მდე კოშკი, რომლებიც ძირითადად თავდაცვის მიზნით იყო აშენებული. სვანეთში თითოეულ ოჯახს ჰქონდა თავისი კოშკი, რომელიც მთელი სოფლისა და თემის დახმარებით შენდებოდა. ამავდროულად რეგიონს ამშვენებს ორსართულიანი ქვითკირის ძველი საცხოვრებელი სახლები „მაჩუბი“ რომელიც კოშკთან ერთად ჰარმონიულად იყო შერწყმული და ჰქმნიდა ერთიან საცხოვრის გარემოს.

სვანეთი გამოირჩევა მდიდარი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით, მათ შორის უნიკალური რიტუალებით, რომლებიც დაკავშირებულია წარმართულ რწმენასა და წეს-ჩვეულებებთან. აღსანიშნავია, რომ ისინი თანაარსებობენ ქრისტიანობასთან ერთად. ეს რიტუალები და დღესასწაულები მნიშვნელოვანი ღირებულებაა ტურიზმის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღსანიშნავია "ლამპრობა", "ქანდა", "ლიჩანიშობა" სოფელ ადიშში და "ლიფანე" (დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია მიცვალებულთა სულების ხსენებასთან). სვანური ფოლკლორული მუსიკა განსაკუთრებით გამორჩეულია- - მზისა და ცისკრის საგალობლები, საგმირო და იუმორისტული სიმღერები და უნიკალური ტიპის სამგლოვიარო სიმღერა სახელწოდებით "ზარი", რომელიც სრულდება მამაკაცების მიერ და დღემდეა შემონახული. რეგიონში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ძირითად საარსებო დარგს, განსაკუთრებით კი მესაქონლეობა და მემარცვლეობა. ცნობილია ასევე სვანური, ადგილობრივი წარმოების თექის ქუდები.სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი მდებარეობს მესტიაში,. მასში განთავსებულია 4000-ზე მეტი ნივთი, მათ შორის არქეოლოგიური მასალები, ჭედური და ფერმწერული ხატები, რელიგიური ნივთები, იარაღი, ხეზე კვეთის ნიმუშები, კოსტიუმები, ქსოვილები და სხვა. მუზეუმი ღიაა ყოველ დღე, ორშაბათის გარდა, 10.00-დან 18.00 საათამდე. შესვლის საფასურია 7 ლარი მოზრდილებისთვის, ხოლო 10 ლარი გიდის თანხლებით. სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების ბილეთები 0,5 და 1 ლარი ღირს. უფასოდ შესვლა შეუძლიათ 6 წლამდე ასაკის ბავშვებს.

სალაშქრო ბილიკები და სამთო-ტურისტული ქოხები

რეგიონში მოგზაურობის საუკეთესო საშუალებაა ფეხით გადაადგილება. მთიანი რელიეფის გამო ბევრ ისტორიულ თუ ბუნებრივ ძეგლთან მისასვლელი სამანქანო გზა არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ 40-ზე მეტი საფეხმავლო ბილიკია მარკირებული, ასევე შესაძლებელია გიდების დაქირავება.

სვანეთი გამორჩეული თავისი ბუნებითა და ისტორიით, რა თქმა უნდა, მიმზიდველია, თუმცა სტანდარტული მოკლევადიანი მოგზაურობისთვის მოუხერხებელია მრავალსაათიანი მოგზაურობის გამო (10-12 სთ თბილისიდან, რაც ორ სამგზავრო დღეს მოითხოვს). აქედან გამომდინარე მოგზაურობა მინიმუმ 3-4 დღიანია, სამოგზაურო მარშრუტი ხაზოვანია (და არა წრიული) - ზუგდიდი-მესტია-უშგული-მესტია-ზუგდიდი. უშგული-ლენტეხის (ზაგაროს უღელტეხი) გზის მონაკვეთის აღდგენის შედეგად შესაძლებელი გახდება წრიული მარშრუტის შექმნა, რაც გაზრდის მოგზაურების რაოდენობას და ტურებს გახდის მრავალფეროვანს. წრიული მარშრუტის ამოქმედება მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორების რაოდენობას ქვემო სვანეთში. შესაბამისად გაიზრდება მოთხოვნა ტურისტულ სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე.

აქტიური დასვენების მოყვარულებს შეუძლიათ დაგეგმონ შედარებით მარტივი 5-6 დღიანი მოგზაურობა სვანეთში ლაშქრობის, ველოსიპედისა და ცხენებით გასეირნების მიზნით პოპულარულ დოლრას, ნაკრას, ბახის უღელტეხილზე, მესტია-მულახის, ადიშისა და ზურულდის მთის პანორამული ბილიკების გასწვრივ. რაც შეეხება უფრო გამოცდილ მოგზაურებს, რომლებიც ეძებენ უფრო ექსტრემალურ სათავგადასავლო აქტივობებს, როგორიცაა ალპინიზმი, მთაზე ლაშქრობა ან მყინვარების გადაკვეთა, შეუძლიათ აირჩიონ 7-10 დღიანი ტურები, ადგილობრივი გიდების მომსახურებით, (ლოჯისტიკა ტრანსპორტირებასა, ღამისთევის უზრუნველყოფა და ა.შ.)ს. პოპულარული მარშრუტებია უშბა, შხარა და თეთნულდი. რაც შეეხება ლაილას და სვანეთის ქედის სხვა მწვერვალებს, ტურიზმის განვითარებასთან ერთად, ისინი მომავალში მეტად პოპულარული გახდება.

რუკა 5: ტურისტული მიმართულებები და ბილიკები


Svaneti Touristic Trails
Touristic Routes
Easy - Recommended for all, does not require additional equipment
Medium - Not recommended for children and elder people, requires light hiking footwear
Hard - Requires good physical preparation, trekking footwear and alpine safety gear
Mountaineering Route
Perspective unexplored hiking trail
Axial Trans-Svaneti Route
LEGEND
Monument
Tourist information center
Museum
Camping
Church
Village/District with remarkable architecture
Tower
Ski run
Mountaineering place
Hiking
Hunting place
Birdwatching
Horseback riding
Lake
Airdrome
Abandoned village
Settlement
Municipal center
Community center
Village
Resort
Boundary
State
Autonomous
Regional
Municipal
Occupation zone
Protected Areas
Road
State HWY
State Road Unpaved
Local Paved Road
HWY in City
Improved Unpaved
Streets in Cities
Streets in Villages
Rural Dirt
Forest Dirt
Cart Road
Path
Railroad
Wide
Glacier
Water surface
MAIN CAUCASUS RANGE
LOWER SVANETI RANGE
BAKHILDI RANGE
SVANETI RANGE
EGRISI RANGE
LECHKHUMI RANGE
LAPAMISKENI RANGE
KHURSTOU RANGE
KABARDINO-BALKARIA
SAMEGRELO-ZEMO SVANETI
RACHA-LECHKHUMI
POLKA GLACIER
LEKHZTRI GLACIER
ZEMO SVANETI
Mestia
Ushguli
Lentekhi
Tsageri
Zugdidi
Khaishi
Ambrolauri
Oni
Tskhinvali
Kutaisi
Tbilisi
Batumi
Poti
Sachkhere
Chiatura
Sagarejo
Telavi
Gurjaani
Signagi
Dusheti
Mtskheta
Gori
Kaspi
Borjomi
Akhaltsikhe
Ninotsminda
Dmanisi
Bolnisi
Marneuli
Tetritskaro
Akhalkalaki
Ninotsminda
Vani
Samtredia
Senaki
Martvili
Abasha
Ozurgeti
Lanchkhuti
Kobuleti
Ajameti
Gudauri
Stepantsminda
Kazbegi
Pasanauri
Dusheti
Tianeti
Akhmeta
Telavi
Sighnaghi
Gurjaani
Kvemo Svaneti
Samtskhe-Javakheti
Kakheti
Shida Kartli
Mtskheta-Mtianeti
Imeretia
Samegrelo-Zemo Svaneti
Guria
Adjara
Racha-Lechkhumi

საბაგირო ზონები, სათხილამურო მარშრუტები, ფრირაიდი და ჰელისკი

სვანეთში ზამთრის ტურიზმის მთავარი მიმართულებაა სათხილამურო ცენტრები. მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ჰაწვალისა და თეთნულდის სათხილამურო კურორტები (სათხილამურო საბაგირო გზები). მთის ტრასების სააგენტო ფლობს ორივე საბაგირო სისტემას, რომლის ადმინისტრირებას კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს.

მთა ჰაწვალს აქვს ორი თანამედროვე საბაგირო (პლუს ორი პატარა საბაგირო დამწყებთათვის) და 7 კილომეტრიანი სათხილამურო ტრასა. საბაგირო ატარებს საათში 1200 მოთხილამურეს. რაც შეეხება თეთნულდს, მას აქვს 5 თანამედროვე საბაგირო გზა და 12 კილომეტრიანი სათხილამურო ტრასა. საბაგირო ატარებს საათში 2500 მოთხილამურეს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ჯერ-ჯერობით არ არის საბაგირო და სათხილამურო ტრასები. წინასწარი კვლევის შედეგად მომზადდა ლენტეხი-რაჭის გამყოფ ქედებზე სათხილამურო ტრასების აშენების კონცეფცია (შპს „გეოგრაფიკი“). ამჟამად, MTA-ის მოთხოვნით, ფრანგული კომპანია CDA (Company Des Alpes) ატარებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, რათა შეფასდეს ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტებს შორის მდებარე მთა ჩუტხაროს ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე დიდი სათხილამურო კურორტის შექმნის შესაძლებლობის შესახებ.

ყოველწლიურად, სათხილამურო სეზონი, ჩვეულებრივ, იწყება 15 დეკემბერს და მთავრდება 15 აპრილს. სტუმრები მესტიაში სათხილამუროდ ჩამოდიან 3-6 დღით. აღსანიშნავია, რომ სვანეთი სხვა ევროპის სათხილამურო კურორტებისგან გამოირჩევა დაბალი ფასებით. მაგალითად, მესტიაში საბაგირო გზის ერთდღიანი აბონემენტი 40 ლარი (15 ევრო) ღირს, ხოლო ტიროლში (ავსტრია) დღეში 80-დან 120 ევრომდე, ან ზოგჯერ უფრო მეტიც.

საბაგიროების გამტარუნარიანობის (მოთხილამურე საათში) გათვალისწინებით, დატვირთვის კოეფიციენტი ამჟამად დაბალია და მაქსიმალური დატვირთვის 15-20%-ით ფასდება. მაგალითად, 2021-2022 წლების ზამთრის სეზონზე სვანეთს დაახლოებით 41 100

ადამიანი ეწვია, ხოლო ამავე პერიოდში გუდაურს - ნახევარი მილიონი. აქედან გამომდინარე, არსებული საბაგირო სრულად არ იტვირთება ეს რესურსი კი სვანეთის ზამთრის სეზონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ამას მოწმობს რეგიონში მოთხილამურეების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. 2016-2017 წლების სეზონზე 16269-დან, 2019-2020 წლების სეზონისთვის 53187-მდე გაიზარდა. სულ რაღაც სამ წელიწადში სამჯერ გაიზარდა მოთხილამურეების რაოდენობა, ეს კი ხაზს უსვამს მესტიის სათხილამურო კურორტების მიმზიდველობას.

სვანეთში ზამთრის სეზონზე მაღალი შემოსავლის მქონე და გამოცდილ მოთხილამურეებს სტანდარტულ მომსახურებასთან ერთად შეუძლიათ ისარგებლონ ექსკლუზიური შეთავაზებებით - ე.წ. HELI SKI. (ვერტმფრენის გამოყენებით მაღალმთიან ხელუხლებელ ფერდობებზე სრიალი). მსგავსი აქტივობით გამოცდილი მოთხილამურეები არიან დაკავებულნი. საქართველოშო ჰელისკის მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებაა. შვეიცარიულმა ფირმამ „ალპინტრაველმა“ გუდაურში ფუნქციონირება 1990 წელს დაიწყო. 2005-2006 წლებში კი სვანეთში გამოჩნდა ჰელისკის ოპერატორი საერთაშორისო კომპანიები .

მიუხედავად მაღალი კონკურენციისა, მრავალი ოპერატორი ეფექტურად ოპერირებს ევროპულ ბაზარზე და ყოველწლიურად დაახლოებით 3000-დან 4000 ევრომდე ღირებულების 300 ერთკვირიან ჰელისკის პაკეტს ყიდის. შედარებით ახალი და დაბალბიუჯეტურია კომბინირებული ჰელისკი, ფრირაიდი ან სკიტური. ეს არის განსაკუთრებით საინტერესო წინადადება სვანეთის პოზიციონირებისთვის და შესაძლოა მოიცავდეს როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთს. (მაგალითად, მთა ჩუტხაროს დასავლეთ/ჩრდილო-დასავლეთ კალთებს). ზემო სვანეთში მსგავსი ტურები განსაკუთრებით პოულარულია თეთნულდის მთაზე, სოფელ უშგულის ზემო ფერდობებზე და შხარას მთის ირგვლივ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტურების მოზიდვა ზრდის ე.წ დაბალფასიანი ტურების წილსაც; მიუხედავად ყველაფრისა, მნიშვნელოვანია რომ მარკეტინგული აქტივობები და ძალისხმევა მიმართული იყოს მაღალი დონის ვიზიტორების მოზიდვისკენ. უპირველეს ყოვლისა ეს გულისხმობს ისეთი სერვისების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს სათავგადასავლო/ექსტრემალური ტურიზმის განვითარებას: საჰაერო სამედიცინო სამსახური, სასწრაფო სამთო სამაშველო სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია სერტიფიცირებული გიდებით და მაშველებით, აღჭურვილი მესტიაში ბაზირებული სამაშველო შვეულმფრენებით.

ჯომარდობა - მდინარეები

მდინარე ცხენისწყალი საინტერესოა სამდინარო ტურიზმის განვითარებისათვის, განსაკუთრებით დაბა ლენტეხიდან ცაგერის წყალსაცავამდე. მდინარის ცალკეულ მონაკვეთებზე ლენტეხიდან ცაგერამდე (ლენტეხიდან ცაგერის წყალსაცავამდე 15-20 კმ), ჯომარდობა მნახველს დაუვიწყარ შთაბეჭდილებას უტოვებს ჯომარდობის პირველი მარშრუტის სირთულეა: III კატეგორია გაზაფხულზე - არის სწრაფი და ძლიერი დინება, მორევები; II კატეგორია ზაფხულში - დინება ნაკლებად სწრაფია, არის პატარა

ლოდები და მდინარის ტალღები. IV კატეგორიის ჯომარდობის კურსი უფრო რთულია და გამოირჩევა სწრაფი, მძლავრი დინებით, ჩაღრმავებებით, ორმოებით, საცობებითა და ქვებით. გარდა ამისა, თევზაობის სეზონი გაზაფხულიდან ზაფხულამდე გრძელდება. მდინარე ცხენისწყალი არა მხოლოდ ქვემო სვანეთში, არამედ ცაგერისა და ხონის მუნიციპალიტეტებშიც გადის. ქვემო სვანეთი შეიძლება იყოს განსაკუთრებით მიმზიდველი ტურისტული ადგილი მათთვის, ვისაც უყვარს მრავალდღიანი ჯომარდობა და კაიაკინგი.

2.2.6 განთავსება და მომსახურების სერვისები

განთავსების ადგილების რეგიონული ანალიზი აჩვენებს, რომ 2022 წლის დეკემბერში სამეგრელო-ზემო სვანთის რეგიონში ყველაზე მეტი რეგისტრირებული განთავსების ადგილი ფიქსირდება, რომლის წილიც ქვეყნის მასშტაბით 19%-ს შეადგენს. რეგიონში განთავსების ადგილების უმეტესობა საოჯახო ტიპის სასტუმროებია. ოთახში საწოლების საშუალო რაოდენობა 2-3 საწოლ ადგილს შეადგენს.

განსხვავებული სურათია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის შემთხვევაში. ეს რეგიონი ქვეყანაში დარეგისტრირებული ღამისთევის ადგილების მხოლოდ 3%-ს მოიცავს. ლენტეხის მუნიციპალიტეტს აქვს 1 სასტუმრო და 22 საოჯახო ტიპის სასტუმრო. სასტუმრო, 9 საოჯახო სასტუმრო და ერთი კოტეჯი მდებარეობს ლენტეხის ცენტრში და უმეტესად სტუმრები აქ რჩებიან. მუნიციპალიტეტში 13 საოჯახო ტიპის ჰოსტელია. ამ რეგიონის საოჯახო სასტუმროების ნომრების საშუალო რაოდენობა 7-ია, სამეგრელო-ზემო სვანეთთან შედარებით, სადაც საშუალოდ 6 ნომერს ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე 2020-2022 წლებში საწოლების რაოდენობა თითქმის 2000-ით გაიზარდა. ამ დროს ცვლილება ქვემო სვანეთში თითქმის არ ყოფილა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონს სჭირდება არსებითი ნაბიჯების გადადგმა ტურიზმის განვითარებისთვისზრდისთვის.

შედარებისთვის, მხოლოდ მესტიაში დაახლოებით 130-150 ღამისსათევი ადგილია (სასტუმროები ან საოჯახო სასტუმრო სახლები), 900-მდე ოთახითა და 2000-მდე საწოლით. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ოფიციალურად რეგისტრირებულია 30 სახლი, 200 ოთახი და 600 საწოლი.

საოჯახო სასტუმროების რაოდენობის ზრდა დამახასიათებელია საქართველოს ყველა ტურისტული მიმართულებისთვის და, სავარაუდოდ, გაგრძელდება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. მესტიის მუნიციპალიტეტში აქტიურად შენდება ახალი სასტუმრო სახლები (სამწუხაროდ ხშირია ნებართვის გარეშე შენებაც) განსაკუთრებით, ისტორიული და არქიტექტურული მემკვიდრეობის მკაცრად დაცულ ზონებში. ამის მაგალითია უშგულის თემის სოფლები, სადაც სახელმწიფომ მემორანდუმი გამოაცხადა მშენებლობის დროებითი აკრძალვის შესახებ.

ეროვნული სტატისტიკა	
საშუალო საწოლი ადგილები ოთახში	საცხოვრებლის ყველაზე გავრცელებული ტიპი
2 – 3	პატარა სასტუმროები და საოჯახო სასტუმრო სახლები

	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
ქვეყნის მასშტაბით ღამისსათევი ადგილების წილი	19%	3%
საოჯახო სასტუმროებში ოთახების საშუალო რაოდენობა	6	7
საშუალოდ ოთახების რაოდენობა 2020-2022	გაიზარდა თითქმის 2000-მდე	მცირე მატება/არ გაზრდა

	მესტია	ლენტეხი
საცხოვრებლები:	130-150	30
ოთახები:	900	200
საწოლები:	2000	600

სასტუმროები

მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში არც ერთი ბრენდირებული სასტუმრო არ არის. მესტიაში მხოლოდ ორ სასტუმროს - „ფოსტა“ და „გისტოლა“ აქვს 4 ვარსკვლავი. დანარჩენები სასტუმროები, როგორიცაა, სასტუმრო ფალიანი, ლაჰილი, ძველი სახლი, მესტიის ინნი, გოლდენ თაუერი, ბანგურიანი, შალე მესტია, სანსეტი და სხვა, არის საშუალო ზომის - 20-დან 40 ნომრამდე და კარგ მდგომარეობაში. ეს და სხვა მრავალი სასტუმრო შეგიძლიათ იხილოთ booking.com-ზე და Airbnb-ზე. ლენტეხის შემთხვევაში ასეთი სასტუმროა „სვანეთი“, რომელიც ზამთრის სეზონის განმავლობაში დაკეტილია. ასოციაცია Horeca მესტიაში მხოლოდ ოთხ საოჯახო სასტუმროს ჩაუტარა ტრენინგი და მონიტორინგი რის შედეგადაც მიანიჭა ევროსთარის შეფასებით 2 და 3 ვარსკვლავი.

პიკის სეზონზე მაღალი კლასის საცხოვრებლების რაოდენობა საკმარისი არ არის.როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში, როგორც წესი, სასტუმროები სრულად არის დაკავებული. მაღალი ხარისხის მომსახურებასა და საერთაშორისო სტანდარტების სასტუმროებზე მოთხოვნა მაღალია.

სვანური კომპანიები სარგებლობენ მაღალმთიანი დასახლების სტატუსით და სხვა უპირატესობებით ინვესტიციების მოსაზიდად. მაგალითად, თავისუფალნი არიან გადასახადებისგან (ქონების გადასახადისგან განსაზღვრული ვადით, სუბსიდირებული სესხები აწარმოე საქართველოს თანადაფინანსებით), ასევე არ იხდიან მიწის გადასახადს. გარდა ამისა, მესტიასა და ლენტეხში სტუმარმასპინძლობის სფეროში მომუშავე თანამშრომლები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადებს (როდესაც მათი წლიური შემოსავალი 6000 ლარზე ნაკლებია).

გარდა ამისა, ლენტეხისგან განსხვავებით, მესტიის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები, რომლებიც საკუთარ საცხოვრებელ სივრცეში ამუშავებენ საოჯახო სასტუმროებს (ხშირად რეგისტრირებულია როგორც ინდმეწარმე) თავისუფალნი არიან ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადის კომერციული ტარიფისაგან.

მესტიასა და ლენტეხს არ აქვს ბუნებრივი გაზის მიწოდების სისტემა. შედეგად, სასტუმროს ოპერატორები ელექტროენერგიით ან შეშით თბებიან.

საოჯახო სასტუმროები და სახლები

სვანეთში ძირითადი განთავსების ადგილებია საშუალო ან მცირე ზომის საოჯახო სასტუმროებია. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში Airbnb-ზე დაახლოებით 18 საოჯახო სასტუმროა რეგისტრირებული, ხოლო ზემო სვანეთში 200-მდე სასტუმრო ან სასტუმრო სახლია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი სტილის სასტუმროებში მომსახურების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. პირველ რიგში, საჭიროა პერსონალის ტრეინინგი სასტუმროს მენეჯმენტის კუთხით, ასევე მომსახურე პერსონალის სერტიფიცირება, არქიტექტურული სახელმძღვანელოს, დიზაინისა და ტრადიციული ესთეტიკის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ტრადიციული იერსახის შენარჩუნებას და ურბანულ დაგეგმარებასაც კანონის ფარგლებში მოაქცევს. სამწუხაროდ, ამჟამად მუდმივად ხდება ტურისტულ ზონებში გარემოს იერსახის ცვლილება, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ისტორიული იერსახის შენარჩუნებას.

მთის ქოხები და ბანაკები

მთის ქოხების განხილვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ერთიანი კონცეფცია „ქოხი-ბილიკი-გიდი-სამაშველო“, რაც აუცილებელია კონკურენტუნარიანი სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტის შემუშავებისათვის. მარტო ბილიკი არ შეიძლება ჩაითვალოს ტურისტულ პროდუქტად, თუ ის მრავალდღიანი ლაშქრობის დროს არ პასუხობს ძირითად საჭიროებებს, როგორიცაა ბანაკი, ქოხი, კოტეჯი ან თუნდაც საოჯახო სასტუმრო კარვების ან სხვა აღჭურვილობის უზრუნველსაყოფად საჭიროა არსებობდეს ადგილობრივი ოპერატორი.. ასეთი სერვისები აკლია როგორც ლენტეხის, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტებს..გარკვეული პროგრესი შეინიშნება ყველაზე პოპულარულ საფეხმავლო მარშრუტებზე მესტიაში, ნაკლებად - ლენტეხში.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მესტიის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მესტიის ცენტრში (სეტის მოედანი) დაარსდა 2010–2011 წლებში დაბა მესტიის რეაბილიტაციის პროექტის დასრულებისას, მესტიის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის თანამშრომლობის ფარგლებში. საინფორმაციო ცენტრის მიზანი იყო ტურისტების ინფორმირება არსებული ტურისტული ზონებისა და სერვისების შესახებ. „საინფორმაციო ცენტრი“ თანამშრომლობდა საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის გაერთიანებულ ქსელში არსებულ სხვა საინფორმაციო ცენტრებთან ვიზიტორთა რეგისტრაციის, სტატისტიკის, გამოკითხვისა და სხვა კვლევების განსახორციელებლად. ეს გამოცდილება საფუძვლად დაედო ადგილობრივი DMO-ს დაარსებას და შემდგომ ფუნქციონირებას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ცენტრის საჭიროა არსებობდეს, როგორც მესტიაში, ასევე ლენტეხში, იყოს მისაწვდომი ვიზიტორებისათვის და ჰქონდეს შესაძლებლოა მოაგროვოს ვიზიტორთა შესახებ სტატისტიკა და ჩაატაროს მიზნობრივი გამოკითხვები.

კვების ობიექტები

სვანეთი გამოირჩევა უნიკალური გასტრონომიით, ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. მესტიაში განთავსებულია რამდენიმე პოპულარული კაფე, რომელთაგან სულ მცირე ერთი ან ორი მუდმივად აქტიური და ხალხმრავალია, რაც ქმნის დაბის ფარგლებს გარეთ ქსელის გაფართოების წინაპირობას. იდეალური იქნებოდა საოჯახო რესტორნების არსებობა ცენტრალური დასახლების მიმდებარე სოფლებში, როგორიცაა ნაკრა, ბეჩო, მულახი და კალა, რომლებიც სტუმრებს შესთავაზებდნენ მრავალფეროვან და გამოცდილებაზე დაფუძნებულ კულინარიულ მასტერკლასებსა თუ ტურებს. რაც შეეხება ლენტეხს, აქ არის ერთი კაფე და სამი საცხობი, რომლებიც ძირითადად ვიზიტორებს სთავაზობენ ტრადიციულ სვანურ კუბდარსა და ხაჭაპურს. საოჯახო სასტუმროები ძირითადად კერძებს თავიანთი სტუმრებისთვის ამზადებენ.

სურსათის უვნებლობის საკითხი კრიტიკულია, განსაკუთრებით საოჯახო რესტორნების შემთხვევაში. მსგავსი პატარა ობიექტებისთვის უნდა შემუშავდეს სხვადასხვა მიდგომა სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, არა მხოლოდ სვანეთში, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბით. მესტიის თეთნულდის კოლეჯში არსებობს კურსები მზარეულებისა და კონდიტერებისთვის. მნიშვნელოვანია კოლეჯის სასწავლო გეგმა ითვალისწინებდეს ჰიგიენასა და სანიტარიას HACCP სტანდარტების შესაბამისად. როგორ დაინერგოს HACCP სტანდარტები საოჯახო კვების ობიექტებში, არის მნიშვნელოვანი სირთულე, რომელიც უნდა გადაიჭრას მანამ, სანამ წესები ოპერატორებისთვის აუცილებელ ვალდებულებად იქცევა.

ინვენტარის გაქირავება

სათხილამურო მომსახურების გაფართოების შედეგად გაიზარდა მოთხოვნა სათხილამურო ინვენტარზე . მესტიაში გაიხსნა ასეთი ტიპის 10-15 მაღაზია. რაც შეეხება საზაფხულო სამოგზაურო აღჭურვილობას, გიდების ასოციაცია მსგავს ნივთებს სთავაზობს ვიზიტორებს. ეს სერვისები ხელმისაწვდომია მხოლოდ მესტიაში და სასურველია, რომ ქსელი განვითარდეს მესტიისა და ლენტეხის ყველაზე პოპულარულ ხეობებშიც.

2.2.7 ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური სერვისები

ეს თავი მოიცავს ზოგადი ინფრასტრუქტურის ანალიზსა და სხვა ძირითადი სერვისების (გზები, წყალმომარაგება, გამდინარე წყლები და ნარჩენების მართვა, ელექტროენერგიის მიწოდება, ურბანული დაგეგმარება, საბანკო, სასწრაფო და სამედიცინო მომსახურება) შეფასებას. ეს არის ის სერვისები, რომლებიც ვიზიტორს შეიძლება დასჭირდეს ზემო და ქვემო სვანეთში მოგზაურობისას.

<u>ენერგომომარაგება</u>

სვანეთი ჰიდროენერგეტიკული რესურსებით მდიდარი რეგიონია და მასში განლაგებულია ენგურჰესის მთავარი ენერგოწარმოების ობიექტი. თუმცა, მოსახლეობის ელექტროენერგიის გადასახადისგან გათავისუფლების და ელექტროენერგიის მოხმარების საყოფაცხოვრებო დონეზე არ აღრიცხვის გამო, მაღალი ხარისხის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა ენერგომოხმარების გაზრდის პირობებში საკმაოდ რთულია. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა რეგიონისთვის, ტურიზმის განვითარება ელექტროენერგიაზე მოთხოვნას კიდევ უფრო გაზრდის. მესტიაში მხოლოდ საწარმოები იხდიან ელექტროენერგიის ფიქსირებულ კომერციულ გადასახადს, ამ სიტუაციის მოგვარება საჭიროა რეგიონში მდგრადი და საიმედო ენერგომომარაგებისათვის.

სვანეთში ტურიზმის განვითარება რეგიონის ეკონომიკას უდიდეს შესაძლებლობას აძლევს, ტურიზმის განვითარების შედეგად ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა აუცილებლად უნდა აისახოს ელექტროენერგიის გადასახადში, რადგან ამის გარეშე ენერგოკომპანიები თავს აარიდებენ ინვესტირებას საჭირო ინფრასტრუქტურაში მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. საჭიროა მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის მოხმარების სამართლიან და გამჭვირვალე ფასებს, მათ შორის კომერციული მიზნებისთვის. ამ ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს რეგიონში მოქმედი ყველა ბიზნესი, მათ შორის საოჯახო სასტუმროები და სხვა ღამისსათევი ობიექტები, გადაიხადოს ელექტროენერგიის შესაბამისი ტარიფი, რაც საშუალებას მისცემს ენერგეტიკულ კომპანიებს ინვესტიციები განახორციელონ საჭირო ინფრასტრუქტურაში და უზრუნველყონ ენერგომომარაგების საიმედო მიწოდება რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის.

მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგომომარაგება არასტაბილურია მაღალი ძაბვის ხაზის ექსპლუატაციისა (განსაკუთრებით ზამთარში) და მოძველებული ელექტროგადამცემი ხაზების გამო. ტრანსფორმატორების რაოდენობა მაღლიდან დაბალ გადამცემ ქვესადგურებში საჭიროებს განახლებას ელექტრომოხმარების მნიშვნელოვანი ზრდის გამო, ზოგიერთ ადგილას ათიდან ასამდე, რაც იწვევს ხშირ „ავარიას“ და მომხმარებელს მიეწოდება დაბალი ელექტრო ძაბვა, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის მდგრად განვითარებას, ზიანს აყენებს აღჭურვილობას და ა.შ.

რეგიონში ენერგომომარაგების პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა:

- გაუმჯობესდეს არსებული ენერგო მომარაგება, არსებული ინფრასტრუქტურის ეფექტურად ფუნქციონირების გზით;
- ადგილობრივი ენერგიის გამომუშავება საშუალო და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით, რაც გაზრდის რეგიონის ენერგეტიკულ თვითმყოფადობას;
- სხვა განახლებადი (მზის ან ქარის) ენერგიის გამომუშავება მუნიციპალური შენობებისთვის, საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის და კერძო ბიზნესისთვის, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას ენერგიის ტრადიციულ წყაროებზე. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქარისა და მზის ელექტროსადგურების დამონტაჟებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მაღალმთიანი ისტორიული დასახლებების ვიზუალურ მხარეს. შესაბამისად მსგავს გარემოში პროექტები უნდა განხორციელდეს მხოლოდ საფუძვლიანი ანალიზის შედეგად;

- რეგიონში ბუნებრივი გათბობის გაზის მიწოდება ელექტროენერგიის მოხმარებას შეამცირებს. ასობით კილომეტრიანი გაზმომარაგების გაყვანის კაპიტალური ღირებულება, ძალზედ ძვირია და ამ ინვესტიციის დასაბუთება უნდა განიხილებოდეს „ინვესტიციის უკუგების“ მეთოდით.

რაც შეეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტს, ენერგომომარაგება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. მუნიციპალიტეტის ცენტრი მხოლოდ ერთ ენერგოწყაროზეა დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ დაზიანების შემთხვევაში, ქალაქ ლენტეხსა და მიმდებარე სოფლებს ელექტროენერგია შეუწყდებათ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ლენტეხი უნდა დაუკავშირდეს მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზს ჯახუნდერის ქვესადგურს. ეს ხაზი საბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებდა და ამჟამად მხოლოდ აღდგენა ესაჭიროება, რათა შეძლოს ხელახალი ფუნქციონირება. შედეგადაც მუნიციპალიტეტის ცენტრი არ იქნება დამოკიდებული ელექტროენერგიის მხოლოდ ერთ წყაროზე.
სხვა საკითხია, რომ სოფელ წანასა და ზესხოს ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფლებს მხოლოდ 15 მუდმივი ოჯახი ჰყავს, მათ მდებარეობას აქვს ტურისტული განვითარებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პოტენციალი. მინი ელექტროსადგურის მშენებლობა ამ სოფლებს ელექტროენერგიით მოამარაგებდა. ეს არა მარტო გააუმჯობესებს ადგილობრივთა საცხოვრებელ პირობებს, არამედ ხსნის შესაძლებლობებს ტურიზმის განვითარებისთვის. და ბოლოს, რეგიონში ბუნებრივი აირის გაყვანას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონში ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

რუკა 6: გზები, ენერგო მომარაგება და მინერალური საბადოები/წიაღისეული



საგზაო ინფრასტრუქტურა

ზემო და ქვემო სვანეთის რეგიონს ტურისტული განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. კარგი ხარისხის გზები გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ისინი ყველა სეზონზე უსაფრთხო და ფუნქციონირებადი უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა რეგიონში გზების საპროექტო და სამშენებლო სტანდარტების საერთო ზრდა. გარდა ამისა, კალა-უშგული-ცანას მონაკვეთის მშენებლობა მაღალი ხარისხის ბეტონის საფარით, უზრუნველყოფს რეგიონთან შემოვლით და ალტერნატიულ დამაკავშირებელ გზებს. და ბოლოს, გრძელვადიან პერსპექტივაში, ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობა გზების პრობლემის ერთ-ერთი მნიჭვნელოვანი გადაჭრა იქნება. ეს გადაწყვეტილებები არა მხოლოდ გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს, არამედ ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიას.

მესტიის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზები: სოფლების მიმოფანტული განაწილება გავლენას ახდენს გზების სიგრძეზე და ხიდების რაოდენობაზე. სასოფლო გზები ძირითადად მიყვება სხვადასხვა სიმძლავრის ნაკადულებს თუ მდინარეებს, რომლებსაც აქვთ დიდი წყალშემკრები აუზები, რაც ხშირად იწვევს გზების დატბორვა-გამორეცხვას. გზისპირა სარწყავი მილებისა და დამცავი ბარიერების არარსებობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მგზავრებს. მაგალითად, დიზი-ეწერის მონაკვეთი ჯვარი-მესტიის მონაკვეთზე სრულად ამორტიზებულია, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს აშენდა. ეს გამოწვეულია პროექტის იაფად განხორციელების სურვილით და არასაკმარისი რეგულარული მოვლა-პატრონობით, რაც საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ცენტრალური ბიუჯეტიდან (როდესაც გზის კატეგორიაა „სახელმწიფო გზა“).

ლენტეხის სახელმწიფო გზა ძალიან კარგ მდგომარეობაშია. ის ახლახან აშენდა და ლენტეხის მუნიციპალიტეტს ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებთან აკავშირებს. თუმცა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის უსწორმასწორო მთიანმა რელიეფმა გაართულა მთისაკენ მიმავალი სასოფლო-სამეურნეო გზებისა და სათიბ-საძოვრების შენარჩუნება. სოფლები გაბნეულია მაღალმთიან ხეობებში, რაც უარყოფითად აისახება გზების სიგრძეზე, საჭირო ხიდებისა და საყრდენი ნაგებობების რაოდენობაზე. გზების სიგრძეზე სხვადასხვა სიმძლავრის ნაკადებისა და მდინარეების არსებობა კიდევ უფრო ამძაფრებს საკითხს, რადგან მათ აქვთ დიდი წყალშემკრები აუზები, რომლებიც აზიანებენ გზებსა და ხიდებს ძლიერი წვიმის დროს. გარდა ამისა, ბუნებრივი მოვლენები - ძლიერი თოვლი, ზვავები, მეწყერი და ნიაღვარი, მოითხოვს თითქმის მუდმივ მოვლა-აღდგენით სამუშაოებს. არახელსაყრელი პირობების შედეგად, მუნიციპალური/სოფლის გზების ნაკლებობა და ცუდი მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და წარმოადგენს სოფლების დაცარიელების ძირითად მიზეზს.

ტრანსპორტი

საჰაერო ტრანსპორტი: მესტიის აეროპორტი მრავალი პრობლემის წინაშეა, მათ შორის არის ბორტის მცირე ტევადობა, ამინდის გამო ფრენების დაბალი სიხშირე და სატრანსპორტო სერვისების არასანდო რეპუტაცია. აუცილებელია, ამ კომპანიამ უზრუნველყოს მუშაობა ყველანაირი ამინდის დროს. ეს ნიშნავს სანავიგაციო სისტემის დაყენებას, რომელიც უსაფრთხო და საიმედო ფრენების გარანტიაა. კიდევ ერთი გამოსავალი არის უფრო დიდი ტევადობის თვითმფრინავების შემოყვანა, რომელსაც შეუძლია მეტი მგზავრისა და ტვირთის გადაზიდვა. მესტიის აეროპორტში ახალი ან გაფართოებული ტერმინალის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა განიხილება როგორც მთავრობის პრიორიტეტად მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

ლენტეხი: განიხლვის პროცეშია ჩიხარეშის ყოფილი აეროპორტის აღდგენა-ექსპლუატაციის საკითხი და მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობების კვლევა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ფასების კორექტირება მეტი ტურისტის მოსაზიდად და აეროპორტის ფუნქციონირების ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება მოიცავდეს ტურისტებისთვის კონკურენტული ფასების შეთავაზებას, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისთვის სუბსიდირების უზრუნველყოფას. გრძელვადიან პერსპექტივაში, აეროპორტმა უნდა იმუშაოს მგზავრთა რაოდენობის გაზრდისა და მესტიის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციისკენ, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ფრენებზე მეტ მოთხოვნას და რეგიონს მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობას შეუქმნის.

ავტოტრანსპორტის კუთხით, მესტიის მუნიციპალიტეტს არ აქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მუნიციპალიტეტებს არ აქვთ უფლება დაგეგმონ მარშრუტები სხვა მუნიციპალიტეტში). ეს სფერო მთლიანად კერძო სექტორის განკარგულებაშია. მუნიციპალიტეტში შიდა ტრანსპორტირება ხორციელდება მხოლოდ დაქირავებული ტრანსპორტით, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ვიზიტორებისთვის. 2023 წელს მესტიის მუნიციპალიტეტი მესტია-ლენჯერის წრიული ხაზისთვის მცირე ავტობუსის შეძენას გეგმავს.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება დიდწილად დამოკიდებულია გზისა და მესტიაში კომფორტული ავტოსადგურების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე.

ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას ლენტეხის მუნიციპალიტეტიც, რადგან შიდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა ამცირებს მოსახლეობის რეგულარული გადაადგილებას, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ასაკის ადამიანს უშლის ხელს, მათ შორის ტურისტებსაც. გარდა ამისა, აეროპორტის არარსებობა ხელს უშლის რეგიონის ხელმისაწვდომობას ქვეყნის მასშტაბით და

უარყოფითად აისახება ტურიზმის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს ამერიკულმა Black&Weatch-მა მოამზადა ჩიხარეშის ბალახის აეროდრომის დიზაინის RFP დოკუმენტაცია US Customs Service-სა და US Army Corps of Engineers-ის მეთვალყურეობითა და დეტალური ადგილმდებარეობისა და ოპერატიული კვლევის საფუძველზე, რომელშიც CCG ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. ეს დოკუმენტაცია ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია და შესაძლებელია სამომავლოდ მისი გამოყენება.

<u>წყალმომარაგება და სანიტარია</u>

მესტიის მუნიციპალიტეტი წყალმომარაგებასა და კანალიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა პრობლემას აწყდება. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა არის შეზღუდული შემოსავალი საინვესტიციო პროგრამებისთვის, რამაც გამოიწვია წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის არასრული მოდერნიზაცია. ზოგიერთ სოფელში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა წყალზე, რაც სხვა წყაროებიდან წყალსადენით წყლის მიწოდებით უნდა მოხდეს. ეს გამოიწვევს საინვესტიციო ხარჯების გაზრდას. გარდა, ამისა პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის ნაკლებობა და სარწყავი სისტემის არარსებობა, რაც უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურის რაოდენობასა და ხარისხზე.

ამ პრობლემების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი იქნება მუნიციპალიტეტის დონეზე სოფლების წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო მიწოდების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, როგორიც იყო KFW-ს მიერ დაფინანსებული კვლევა 2017-2018 წელს აჭარაში. კვლევა ფოკუსირებული უნდა იყოს წყალმომარაგების გაუმჯობესების ყოვლისმომცველი გეგმის შემუშავებაზე, მათ შორის წყალსადენის მშენებლობაზე, სასმელი წყლის კონტროლის სისტემის დანერგვაზე და სარწყავი სისტემების დამონტაჟებაზე მოსავლის მოყვანის გასაუმჯობესებლად. ასეთი ღონისძიებები არა მხოლოდ გადაჭრის წყალთან დაკავშირებულ ამჟამინდელ გამოწვევებს, არამედ გზას გაუხსნიან წყლის რესურსების მდგრად და ეფექტურ გამოყენებას მომავალშიც.

ინტეგრირებული წყალმომარაგების სისტემების (WSS) ხელმისაწვდომობა შემოიფარგლება მხოლოდ ქალაქი ლენტეხით, სადაც უზრუნველყოფილია სასმელი წყლის დამუშავება და ქლორირება. თუმცა, სისტემის გრავიტაციული მახასიათებლების გამო, შენობების მესამე და მეოთხე სართულებს წყალი არ მიეწოდებათ, რის შედეგადაც მოსახლეობა წყლის ინდივიდუალურ ტუმბოებს ამონტაჟებს. გარდა ამისა, ზამთრის პერიოდში წყალმომარაგება ხდება გრაფიკით, რაც ხაზს უსვამს წყლის ახალი სისტემის საჭიროებას. ამ სისტემაზე ელექტრონული ტენდერი 2022 წელს გამოცხადდა.

წყალმომარაგების სისტემები სოფლებში ბლოკებით არის მოწყობილი, არც ერთ სოფელში არ არის წყლის გამწმენდი ერთიანი სისტემა. არ არის გათვალისწინებული პროფესიული დამუშავება და ქლორირება, ხოლო მუნიციპალიტეტის შემოსავლები არ იძლევა შესაბამის ინვესტიციას თანამედროვე წყალგაყვანილობის მშენებლობისთვის. უფრო მეტიც, ზოგიერთ სოფელს არ გააჩნია ისტორიულად

ხელმისაწვდომი წყაროები და საჭიროა წყალგაყვანილობის მშენებლობა უფრო შორი ადგილებიდან, რაც იწვევს საინვესტიციო ხარჯების ზრდას. სოფლებს ასევე აკლიათ სანიტარული სისტემა, გამდინარე წყლები მდინარეებში ჩაედინება სეპტიკური ავზის გარეშე. საკანალიზაციო სისტემა მხოლოდ ორი სოფლის, ცანაშის და ლასკადურაში ცალკეულ ბლოკშია ხელმისაწვდომი.

სვანეთში ტუალეტების არარსებობა რეგიონში ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან პრობლემად იქცა, რადგან მნიშვნელოვან დისკომფორტს უქნის ვიზიტორებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ჰაწვალისა და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტებზე, სადაც სუფთა და ხელმისაწვდომი ტუალეტების ნაკლებობაა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ და დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა მოაგვარონ ეს საკითხი რეგიონში ადეკვატური და კეთილმოწყობილი ტუალეტების მშენებლობაში ინვესტიციებით.

<u>მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება</u>

მესტიის მუნიციპალიტეტში ნაგვის გატანა და ქუჩების დასუფთავება მუნიციპალური სამსახურების დაქვემდებარებაშია და გამართულად ფუნქციონირებს. მთავარ პრობლემას წარმოადგენს ნაგვის გატანა, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც ცუდი საგზაო ინფრასტრუქტურა და შესაბამისი აღჭურვილობის ნაკლებობაა. შედეგად, მუნიციპალიტეტის რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულს აკლია ნაგვის ურნები, რაც ტერიტორიის სისუფთავეს უშლის ხელს. ამ საკითხის გადასაჭრელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერების მოწყობას და შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებას დროებით დამხარისხებელ სადგურზე ან ნესტიან ადგილებში. მყარი ნარჩენების (არასახიფათო) ნაგავსაყრელის მოწყობა არის ძალიან მნიშვნელოვანი და განსახილველი საკითხი მუნიციპალიტეტებსა და მყარი ნარჩენების მართვის ეროვნულ კომპანიას შორის. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ უკეთესი აღჭურვილობისა და პერსონალის ტრეინინგის უზრუნველყოფას შეუძლია ნარჩენების მართვის ეფექტური სერვისების უზრუნველყოფა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ნაგვის შეგროვებისა და გატანის სერვისები ამჟამად მხოლოდ ცენტრალური მოასფალტებული გზის გასწვრივ მდებარე 17 სოფელშია ხელმისაწვდომი, დანარჩენ 43 სოფელს კი ეს სერვისი აკლია შეუსაბამო საგზაო ინფრასტრუქტურის გამო. ამ უბნების მთავარ გზაზე ნაგვის კონტეინერები მოთავსებულია, მაგრამ კიდევ ერთი პრობლემაა, საკმარისი კონტეინერებისა და თვითდამტვირთავი სატვირთოების არქონა. ლენტეხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად საჭიროა სოფლებში მისასვლელი გზების გაუმჯობესება და ნარჩენების მართვის მანქანებისა და აღჭურვილობის შესყიდვა. უკეთესი ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით, ნაგვის შეგროვებისა და გატანის ეფექტური სერვისები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, რის შედეგადაც იქნება უფრო სუფთა საცხოვრებელი გარემო როგორც მაცხოვრებლებისთვის, ასევე ვიზიტორებისთვის.

კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული დასახლებებისა და უძრავი ძეგლების ურბანული დაგეგმარება

მესტიის მუნიციპალიტეტს უკვე აქვს მესტიისა და მულახის თემების განვითარების სპეციალური გეგმა და ურბანული განვითარების რეგულაციები (გეგმა შემუშავებულია შპს „გეოგრაფიკის“ მიერ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნით, 2018-2019 წწ.). ასევე მზად არის უშგულის მუნიციპალიტეტის სივრცითი ურბანული განვითარების გეგმა და შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის წარედგინა იუნესკოს. თუმცა, მესტიის მუნიციპალიტეტში, დარღვევით მიმდინარე მშენებლობები საფრთხეს უქმნის როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებას, ასევე ადგილობრივებისა და ტურისტების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. რეგულაციების აღსრულება და სამშენებლო საქმიანობების მონიტორინგი გაცილებით მეტ სიმკაცრეს მოითხოვს. მეორე მხრივ, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ურბანული დაგეგმარების დოკუმენტების არარსებობა ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას და საზოგადოებრივი სივრცის გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ისეთი ეფექტური ურბანული დაგეგმარების ჩარჩოს შექმნას და განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს თემის საჭიროებებს. რეგიონის დასახლებების არქიტექტურული იერსახის შესანარჩუნებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მდგომარეობის შესწავლას, მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-განახლებას და მშენებლობის კვალიფიციურ არქიტექტურულ ზედამხედველობას. ასეთი ყოვლისმომცველი დაგეგმვის გარეშე, თვითნებურმა ურბანიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი არქიტექტურული შედეგები, რომელთა გამოსწორება მომავალში საკმაოდ რთული იქნება. რეგიონის ბევრ დასახლებაში სრული და იურიდიულად მოქმედი გეგმარების დოკუმენტაციის ნაკლებობამ გამოიწვია სპონტანური და შემთხვევითი ურბანიზაცია, რაც არ შეესაბამება სახელმწიფოს განვითარების განზრახვებს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ტერიტორიაზე არსებულ მნიშვნელოვან მემკვიდრეობას, განსაკუთრებით ისტორიულ სოფელ მახაშის. ამ სოფელს აქვს პოტენციალი, გახდეს ისტორიული და ტურისტული განვითარების რეგიონალური კერა, რომელიც დააკავშირებს ზემო და ქვემო სვანეთსა და რაჭას. მახაშის აღდგენამ და მიმდებარე ტერიტორიების განვითარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს მუნიციპალიტეტს, ასევე ხელი შეუწყოს კულტურული და ისტორიული ცნობიერების ამაღლებას.

ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და რეაგირება

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ადგილისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი საფრთხეების შესწავლას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის უსაფრთხოება და რეგიონის მდგრადი განვითარება. აქტიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, როგორიცაა გზის კონკრეტულ მონაკვეთებზე ქვათაცვენა და გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟება აუცილებელი პრევენციული ღონისძიებაა. ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი საფრთხეების შესწავლით, მუნიციპალიტეტს შეუძლია შეიმუშაოს ეფექტური სტრატეგიები მათი ზემოქმედების შესამცირებლად და პოტენციური კატასტროფებისგან ზარალის თავიდან ასარიდებლად უკეთ მოემზადოს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად ემუქრება სტიქიური უბედურებები, მათ შორის ხშირია წყალდიდობა, ღვარცოფი, მეწყერი და დიდთოვლობა. ეს ბუნებრივი კატასტროფები ხშირად იწვევს სოფლების მოწყვეტას გარე სამყაროსგან, რაც ართულებს ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას და სასწრაფო დახმარებაზე წვდომას. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებამ გამოიწვია ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის ზრდა, როგორიცაა მყინვარების დნობა, ეროზია, წყალდიდობა და მეწყერი. ამ საკითხის გადასაჭრელად მუნიციპალიტეტმა პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიოს ადგილობრივი ბუნებრივი საშიშროებების შესწავლა და განავითაროს პრევენციული ღონისძიებები, როგორიცაა მდინარის ნაპირის დაცვა, წვიმის წყლის გაყვანილობა კრიტიკულ მონაკვეთებზე და სპეციალური აღჭურვილობის არსებობა, რათა ყველა დასახლებას შეეძლოს დიდთოვლობაზე რეაგირება დამოუკიდებლად. ამით მუნიციპალიტეტს შეუძლია უზრუნველყოს თავისი მაცხოვრებლების უსაფრთხოება და კეთილდღეობა, რითიც მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მოხდება.

სამედიცინო და სამაშველო სამსახური

დაბა მესტიის მუნიციპალიტეტს აქვს ერთი საავადმყოფო, 14 ამბულატორია, ჭუბერი-უშგულის ამბულატორიული ასოციაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი. მესტიას სასწრაფო დახმარების ორი კომპანია ემსახურება, თითოეულს განახლებული ავტოსადგომი აქვს.

დაბა ლენტეხში არის საავადმყოფო, რომელიც მხოლოდ ამბულატორიულ მომსახურებას ახორციელებს. ბევრ ქალაქში ფუნქციონირებს მცირე ამბულატორიული კლინიკები, რომლებიც პირველ რიგში პირველად დახმარებას უწევენ პაციენტებს. მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს სასწრაფო სამედიცინო სამსახური.

სამწუხაროდ, ამბულატორიული დაწესებულებები ავარიულია, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სამედიცინო დახმარების მიღებას. ასევე არის სამედიცინო პერსონალის დეფიციტი.

სწრაფი რეაგირების სამთო-სამაშველო სამსახური: არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის სამთო სამაშველო სამსახური, რაც მთის ტურიზმის განვითარებას ძალიან უშლის ხელს. მისი არსებობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიცოცხლის გადასარჩენად, არამედ ბიზნესის ზრდისთვისაც, რადგან აღნიშნული დაკავშირებულია სამოგზაურო დაზღვევასთან (ამ დაზღვევით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან) და, შესაბამისად, რეგიონის რეპუტაციას უქმნის საფრთხეს. ასეთი სერვისების ნაკლებობის პრობლემის აღმოფხვრა სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობაა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში საქმიანობა შეიძლება იყოს ეკონომიკურად მომგებიანი. სერვისის შექმნისთვის აუცილებელია სამაშველო შვეულმფრენის, კვალიფიციური მაშველების მცირე გუნდისა და სასწრაფო სამაშველო ოპერაციების საწყისი ბიუჯეტის არსებობა.

საქართველოს აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, რომ მოსახლეობას დახმარება გაუწიოს და ჩაატაროს სამაშველო სამუშაოები სტიქიური ან ტექნიკური კატასტროფების შემთხვევაში. ამჟამად ეს პასუხისმგებლობა ექვემდებარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სიტუაციების მართვის დეპარტამენტს, რომელიც 112-ის ცხელი ხაზით მუშაობს. მაშინ, როდესაც ისინი დახმარებას სთავაზობენ მთიან რეგიონებს, პროფესიონალური სამთო გიდებისა და სპეციალური ვერტმფრენების გამოყენება სამაშველო ოპერაციებისთვის ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

სამაშველო ოპერაციებისთვის პროფესიონალი სამთო გიდების და სპეციალიზებული ვერტმფრენების გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკა ეფექტური აღმოჩნდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, ავსტრია, საფრანგეთი და შვეიცარია. ეს სამაშველო ჯგუფები განლაგებულია მაღალი მოთხოვნის მქონე ტურისტულ ადგილებთან და მოქმედებენ მუნიციპალურ, თავდაცვის ან შინაგან საქმეთა უწყებებთან სპეციალური შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მაშველები არიან სერტიფიცირებულნი, გაწვრთნილი და გამოცდილი სამთო გიდები, რომლებიც მუშაობენ კონტრაქტის ფარგლებში სამაშველო ოპერაციების დროს. ხოლო პილოტები და თვითმფრინავები სპეციალურად არიან მომზადებულნი და აღჭურვილნი ასეთი ოპერაციებისთვის. საქართველოში სამაშველო ოპერაციების გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილი იქნება მსგავსი პრაქტიკის განხორციელება, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ორ ძირითად პრინციპზე: მაშველები უნდა იყვნენ სერტიფიცირებულნი, მომზდებულნი და პრაქტიკოსი გიდები, რომლებიც იმუშავებენ კონტრაქტის ფარგლებში და ჩაატარებენ სამაშველო ოპერაციებს სპეციალურად მომზადებული პილოტებისა და მსგავსი სამაშველო ოპერაციებისთვის აღჭურვილი თვითმფრინავების მიერ. საუკეთესო საერთაშორსო პრაქტიკის მიხედვით სამთო-სამაშველო სამსახურის დაფინანსებახშირად დაფუძნებულია საჯარო-კერძო

პარტნიორობაზე. ასეთი სამსახურების-სერვისების ტექნიკურ-ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საჯარო (სახელმწიფო) და კომერციული (სადაზღვეო) სექტორების მიერ ასეთი კომპანიების მაგალითებია REGA, Air Zermatt და სხვა.

2.2.8 პროფესიული კადრები

სვანეთში ტურიზმის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს პროფესიული განათლება და პროფესიული კადრების მომზადება, რაც ხორციელდება პროფესიული სასწავლო პროგრამებისა და მოკლევადიანი საველე ტრეინინგების საშუალებით. სათავგადასავლო ტურიზმი და კონკრეტულად სათავგადასავლო გიდების პროფესია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში.

ამჟამად, სვანეთში არის 30-მდე სამთო გიდი, რომელთა კვალიფიკაცია დადასტურებულია მთის გიდის საერთაშორისო დიპლომით (IFMGA). ასევე, მომზადებულია 100-ზე მეტი სხვადასხვა პროფილის ეროვნული სერტიფიკატით აღიარებული სათავგადასავლო ტურიზმის გიდი, სხვადასხვა კატეგორიებში, როგორიცაა ტრეკინგი, ალპური, სათხილამურო გიდები.ეს რაოდენობა ამჟამად აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს, მაგრამ 2016-2019 წლებში ტურისტთა ზრდის ტემპიდან გამომდინარე, ბაზრის მოთხოვნა მთის/ტრეკინგის/სათხილამურო გიდებზე 5 წლის განმავლობაში გაორმაგდება. ასეთი პროგრესის საპასუხოდ, აუცილებელია შეიქმნას პროფესიული სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ადგილობრივი აკრედიტებული ფილიალი, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებასა და მათი პრაქტიკული უნარების აღიარება/მონიტორინგს.. საქართველოს მთის გიდების ასოციაციასა და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას აქვს საშუალება დონორი პროგრამებისა და სახელმწიფოს თანადგომით შექმნას რეგიონში სკოლის ფილიალი.

სამთო გიდის პროფესიის მთავარ გამოწვევად დღეს შემდეგი საკითხები შეიძლება აღინიშნოს:

სათავგადასავლო -სამთო გიდების მომზადება: წინასწარი სპორტული მომზადების დაბალი დონე პროფესიული სერტიფიკატის სასწოვლო კურსებზე ჩასარიცხად. წინასწარი მომზადება გულისხმობს ფიზიკურ მომზადებას, მოტივაციასა და ტექნიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც მიიღწევა პრაქტიკასთან ერთად. ამ საკითხის გადასაჭრელად სამთო რეგიონების მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება საშუალო სკოლის დამთავრებამდე გაეცნონ ამ პროფესიას, გამოსცადონ თავიანთი თავი რთულ გარემო პირობებში და განავითარონ აუცილებელი სპორტული უნარები, როგორიცაა მონაწილეობა სამთო ბანაკებში, ალპინისტურ შეკრებებში, სათავგადასავლო ტურებში. დაინტერესების შემთხვევაში მათ ექნებათ საჭირო „სასტარტო უნარჩვევები“ სათავგადასავლო ტურიზმის გიდის პროფესიის სასწავლო პროგრამებში ჩასართავად.

სერტიფიცირების აუცილებლობის მზარდი მოთხოვნის ფონზე, არსებობს სპეციალისტების მწვავე დეფიციტი, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება და პედაგოგიკის სპეციფიკური ცოდნა. ერთი მხრივ, გიდებში განათლების ხარისხის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საქართველომ უნდა შეიმუშაოს მოკლე და საშუალოვადიანი სტრატეგიები. მეორე მხრივ, დააჩქაროს ტრენერების სწავლის პროცესი.

ტექნიკური და პროფესიული განათლების (TVET) და განსაკუთრებით სათავგადასავლო ტურიზმის მხარდაჭერა. პროფესიული განათლება საქართველოში ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ასევე დონორების მხრიდან მუდმივად ხორციელდება ინვესტიციები პროფესიული განათლების სფეროში. თუმცა, მდგრადობის მისაღწევად, კერძო სექტორის მონაწილეობა უფრო მეტად უნდა იყოს ხელშეწყობილი. ანუ, საგანმანათლებლო პროცესი, სასწავლო გეგმების ჩათვლით, მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ინდუსტრიის საჭიროებებთან და უნდა მოერგოს ბაზრის სამუშაო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კულტურული მემკვიდრეობის გიდი: სვანეთის მნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი პროფილის გიდების მომზადება, მათთვის პროფესიული ცოდნისა და შესაძლებლობების მიწოდება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ადამიანებს, რომლებსაც უკვე აქვთ მსგავსი ცოდნა, მაგალითად ხელოვნებათმცოდნეებს და აქვთ უნარი, ეს ინფორმაცია ტურისტებს ამაღელვებლად და დასამახსოვრებლად გაუზიარონ. ამიტომ ხელოვნებათმცოდნეები ხშირად ითვისებენ გიდობის პროფესიას. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება მსოფლიო პრაქტიკაში და არის მაღალი ხარისხის ტურისტული ექსკურსიის წინაპირობა.

სასტუმრო სერვისის თანამშრომელი: სვანეთში ბრენდული სასტუმროების ნაკლებობა სტუმარმასპინძლობის სფეროს დიდი პრობლემაა, რადგან ეს იწვევს რეგიონში მაღალი სტანდარტების სერვისების დეფიციტს. ზოგიერთ, შედარებით მაღალი ხარისხის სასტუმროს მართავენ დიდი ქალაქებიდან ჩამოსული პროფესიონალი მუშაკები, აღნიშნული მენეჯმენტის უფრო ქვედა რგოლს ადგილობრივები იკავებენ, რომლებსაც მხოლოდ მცირედი ტრეინინგი აქვთ გავლილი.

ამ საკითხში პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებელია სვანეთში კვალიფიციური სასწავლო პროგრამის ჩამოყალიბება, რომელიც უკვე გამოცდილია თბილისსა და ბათუმში მდებარე მაღალი დონის სასტუმროებში. ეს პროგრამები უნდა მოიცავდეს სხვადასხვა თემებს, მათ შორის სასტუმროს მენეჯმენტს, სერვისის სრულყოფას, მწვანე სასტუმროს პრაქტიკას, ხარჯების გაანგარიშებას, მენიუს შემუშავებას და სხვა.

გარდა ამისა, სვანეთში ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც წაახალისებს ადგილობრივებს, რომ გაიარონ ტრეინინგი ბრენდირებულ სასტუმროებში და შემდეგ დაბრუნდნენ

მშობლიურ რეგიონში ახლადშეძენილი უნარების გამოსაყენებლად. ეს არა მხოლოდ ხელს შეუწყობს პერსონალის დეფიციტის პრობლემის გადაჭრას, არამედ შექმნის კვალიფიციური მუშახელის ჯგუფს, რომელიც შეძლებს მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებას ვიზიტორთათვის.

DMO სვანეთის როლი გადამწყვეტია დანიშნულების ადგილის მართვის გაუმჯობესებისთვის, რაც მოითხოვს პროფესიონალურ ცოდნას, ეფექტურ კავშირებს და ბაზარზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო-კერძო საზოგადოების მონაწილეებს შორის საერთო მიზნების მისაღწევად.

2.2.9 ტექნოლოგიების დანერგვა

ადგილობრივი ტურისტული ინდუსტრია წინ დგამს ნაბიჯებს ტექნოლოგიური მიმართულებებით. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ვიზიტორებს აძლევს წვდომას ინფორმაციასა და სერვისებზე, რომლის შესყიდვა, დაჯავშნა, ინფორმაციის გაზიარება შესაძლებელია თანამედროვე ონლაინ პლატფორმების გამოყენებით. მსგავსი სერვისების დაჯავშნა-შესყიდვა ასევე შესაძლებელია ინდივიდუალური ბიზნესისა და ონლაინ ტურისტული სააგენტოების ვებგვერდებისა და სოციალური მედიის გამოყენებით. ეს საშუალებას აძლევს ვიზიტორებს მარტივად დაგეგმონ და დაჯავშნონ მოგზაურობები წინასწარ, მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში Airbnb-ზე დაახლოებით 18 სასტუმრო სახლია რეგისტრირებული, ხოლო ზემო სვანეთში კი ასობით ასეთი რეგისტრირებული სასტუმრო თუ საოჯახო სასტუმრო სახლია. სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულთათვის არსებობს ასევე საქართველოს მთის გიდების ასოციაციის მიერ (USAID ეკონომიკური პროგრამის მხარდაჭერით შექმნილი „სათავგადასავლო ტურიზმის სერტიფიცირებული გიდების ონლაინ პორტალი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოძებნოს და დაჯავშნოს მისთვის სასურველი გიდი.

გარდა ამისა, სვანეთში ბევრ ტურისტულ ობიექტზე უკვე შესაძლებელია საკრედიტო ბარათებით უნაღდო ანგარიშსწორება, რაც უფრო მეტ კომფორტს უქმნის ვიზიტორებს და ამცირებს ნაღდი ფულის ქონის საჭიროებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოელი სტუმრებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ წვდომა ადგილობრივ ვალუტაზე და თანაც უსაფრთხოების მიზნით ერჩივნოთ საკრედიტო ბარათების გამოყენება (VISA, Mastercard, etc).

სვანეთში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ინტერნეტის ქსელი მხოლოდ დაბა მესტიისა და ლენტეხშია. სხვა ტერიტორიებზე მაღალი დაფარვის ზონა მობილური კავშირის გამოყენებით (GSM). ეს ნიშნავს, რომ სანდო და მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის ზონები შეზღუდულია მაღალმთიანი რაიონებში, თუმცა მობილური დაფარვის ზონები ძირითადში ფარავს დასახლებულ პუნქტებს.

გარდა ამისა, WI-FI-სა და სხვა ელექტრონულ მოწყობილობების გამართულ მუშაობაზე ენერგომომარაგების პრობლემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. რეგიონში ელექტროენერგია პერიოდულად ითიშება და ხშირად ძაბვაც მერყეობს, რაც გავლენას ახდენს ელექტრომოწყობილობის მუშაობაზე, მათ შორის ინტერნეტ მოდემებზე. ეს შეიძლება დიდ პრობლემა გახდეს სტუმრებისთვის, რომლებიც ელექტრონულ მოწყობილობებს იყენებენ დისტანციური მუშაობისთვის. სტაბილური და ხარისხიანი ენერგომომარაგება ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ებერგომოხმარების პროგნოზირებადი ზრდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმა-განხორციელების პროცესში წინსწრებად უნდა იყოს გათვალისწინებული.

2.3 ტურიზმის სექტორი და პარტნიორი ინსტიტუციები

ტურიზმი მრავალკომპონენტიანი ინდუსტრიაა, რომელიც მოითხოვს მრავალი აქტორის თანამონაწილეობას და შეთანხმებულ ქმედებებს. ქვემოთ წარმოდგენილია ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან რეგიონში ტურიზმის პოპულარიზაციასა და მართვაში:

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA): ეს არის ოფიციალური სამთავრებო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს კონკურენტულ პოზიციონირებაზე და ასევე ქვეყნის შიგნით ტურისტული პროდუქტის განვიტარებაზე (მათ შორის სვანეთში).

- MTA – მთის ტრასების სააგენტო - ეს არის სახელმწიფო კომპანია, რომელიც მართავს საქართველოს ყველა სათხილამურო კურორტს. მათ შორის სვანეთში - ჰაწვალის და თეთნულდის სათხილამურო კურორტებს.
- RDA - კურორტების განვითარების სააგენტო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ახლად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (LEPL), პასუხისმგებელია ახალი მიდგომების, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და დაგეგმვის ინსტრუმენტების შემუშავებაზე, რათა დაეხმაროს საქართველოს მასშტაბით კურორტებისა და საკურორტე ზონების განვითარებას.
- მესტია-ლენტეხის მუნიციპალიტეტი: მუნიციპალიტეტების საკრებულო და მერის აპარატი მნიშვნელოვანი როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ასევე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ჩართულია ტურიზმის ადგილობრივი განვითარების პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავებაში. ასევე მუშაობს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ერთის მხრივ დაცული იყოს ვიზიტორთა ინტერესები, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფილი იყოს რეგიონში ტურისტული საქმიანობის მდგრადი და მომგებიანი განვითარება ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

- NACHP - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო პასუხისმგებელი საქართველოს ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და მართვაზე, მათ შორის მუზეუმებ-ნაკრძალების მართვაზე, კონსერვაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება-მონიტორინგზე და სამშენებლო ნებართვების გაცემაზე ისტირული ძეგლების/ზონების დაცვის არეალში.
- APA - დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო - პასუხისმგებელია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე დაცული ტერიტორიების მართვაზე, მათ შორის ეროვნულ პარკებსა დაბუნების დაცული ძეგლების განვითარება-მართვაზე.
- NFA - ტყის ეროვნული სააგენტო - პასუხისმგებელია საქართველოს სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვაზე, განსაკუთრებით დასახლებების ირგვლივ არსებულ ტყის მასივებზე.
- NEA - გარემოს ეროვნული სააგენტო - პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი რისკებისა და კლიმატის ცვლილებების შეფასება-მონიტორინგზე.
- MDF - მუნიციპალური განვითარების ფონდი - ეროვნული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზასა და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიზაციაზე.
- GMGA - საქართველოს მთის გიდების ასოციაცია, სამთო გიდების პროფესიონალური ასოციაცია, არის IFMGA-ს წევრი და აერთიანებს სხვადასხვა სათავგადასავლო დისციპლინების სერტიფიცირებულ გიდებს.
- Go-Svaneti - სვანეთის გიდების ოფისი, კომპანია ახორციელებს სამთო, სათხილამურო, სალაშქრო ტურებს და სხვა ექსტრემალურ აქტივობებს, რომლებსაც უძღვებიან სერტიფიცირებული გიდები სვანეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში.

2.3.1 სვანეთის ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO)

სვანეთში ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სვანეთის DMO – „შანლენდი“. DMO პასუხისმგებელია ადგილის პოპულარიზაციასა და ბრენდის ცნობადობის შექმნაზე, რათა მოიზიდოს ვიზიტორები და ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ორგანიზაცია, საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპით არის შექმნილი და მისი დამფუძნებლები არიან მუნიციპალიტეტის მერია, საჯარო ორგანიზაციები, არასამთავრობო და კერძო სამართლის იურიდიული პირი. ორგანიზაცია შექმნილია ადგილობრივი ინიციატივით და ითვალისწინებს საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას, რომლის მთავარი მიზანია კოკრეტული ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება.

სვანეთის DMO მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მიერ დაარსებული არაკომერციული ორგანიზაციაა. DMO, რომელიც 2020 წელს დაარსდა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ფაზაშია. სვანეთის DMO აქტიურად არის ჩართული ყველა ძირითად ტურისტულ და სამთო-სპორტის ღონისძიების ორგანიზებაში, როგორიცაა საერთაშორისო ლაშქრობის ფესტივალი - Highlander

(ზაფხულის სეზონის მთავარი ღონისძიება) და Freeride World Tour Qualifier (ზამთრის სეზონის მთავარი ღონისძიება). DMO-ს შემოსავლის ერთადერთი წყარო არის ორი მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული სახელმწიფო დაფინანსება. სვანეთის DMO-ს წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ პროგრამასთან (USAID/GESP, USAID/Resilience Commnity, etc. ამ ეტაპზე მთავარი საყრდენი დონორი პროგრამაა GRETA (ADA, EU, SIDA), რომელიც მხარს უჭერს მდგრადი სამთო-ტურიზმისა და ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას სვანეთში.

კერძო სექტორის ჩართულობის ნაკლებობა არის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი DMO-ს გაფართოებასა და მდგრადობისთვის. ბიზნეს სექტორს მოაქვს მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება და შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ტურიზმის განვითარების ეფექტური სტრატეგიების შემუშავებაში. მათი მონაწილეობის გარეშე, DMO-ს შეიძლება გაუჭირდეს ბრძოლა თავისი მიზნისა და ტურისტული ინდუსტრიის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ამ საკითხის დასაძლევად შეიძლება საჭირო გახდეს DMO-ს ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოდიფიკაცია, რაც კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდის საშუალებას უზრუნველყოფს. ეს შეიძლება მოიცავდეს არსებული რეგულაციების გადახედვას ან ახალი ჩარჩოების შემუშავებას საჯარო და კერძო სექტორს შორის გაზრდილი თანამშრომლობის წასახალისებლად.

სვანეთის DMO-სთვის ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზაციული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს კვალიფიციური კადრების დაქირავებასა და ტრენინგს, მარკეტინგის, გაყიდვების, ფინანსებისა და სტატისტიკის დეპარტამენტების შექმნას. ასევე უფრო მეტად ვერტიკალური ორგანიზაციული სტრუქტურის განხორციელებას. ეს საშუალებას მისცემს DMO-ს უკეთ დაეხმაროს ტურიზმის ინდუსტრაის და სვანეთის პრემიუმ მიმართულებად განვითარებას.

ეს მიზანი მოითხოვს უზარმაზარ ძალისხმევასა და ხარჯებს, თუმცა ეს ყველაფერი სვანეთის ტურისტული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

2.4 მარკეტინგი და კონკურენტების ანალიზი

2.4.1 სვანეთის ბრენდინგისა და პოზიციონირების სტრატეგია

სვანეთის ყოვლისმომცველი ბრენდის სტრატეგია შეიმუშავა GRETA-ს პროექტმა 2021 წელს სესიების, ვორქშოფებისა და კვლევის მეშვეობით, რომელიც მოამზადა Watergunz-მა და Werklig-მა სვანეთის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. ამ პროცესში გააზრებულ

იქნა, რომ სვანეთი ქაოტურად ვითარდება, იკარგება უნიკალური არქიტექტურა და ტრადიციები, რის გამოც არსებობს რეალური საშიშროება, რომ მასობრივმა ტურიზმმა შესაძლოა სვანეთი გააუფასუროს.

მიზნად იქნადასახული ბრენდის სტრატეგიის მკაფიო ჩამოყალიბება - პირველი ნაბიჯი გლობალურ ბრენდებს შორის სვანეთის უნიკალური პოზიციის დაკავების საკითხში, და სწორი აუდიტორიის მოზიდვაში. ამ მიზნების მიღწევა რეგიონს ფინანსურ სარგებელს მოუტანს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სვანეთის 4-სეზონიან სამთო კურორტად განვითარებას. შედეგად მიღებული ბრენდის სტრატეგია პასუხობს გამოწვევას, როგორ გავაერთიანოთ სვანეთის დამახასიათებელი ფაქტორები (ისტორია, კულტურა, ბუნება, ტრადიციები, ექსტრემი, სპორტი) ეფექტურ და სასურველ დანიშნულების ბრენდად.

ბრენდის საბოლოო სტრატეგიის დოკუმენტი შეიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ღირებულებები - პრინციპები, რომლებიც წარმართავენ ქცევას, გადაწყვეტილების მიღებასა და ბრენდის გამოხატვას;
- პიზიციონირება - მათ შორის კონკრეტული უპირატესობები, კატეგორიის განსაზღვრა და სამიზნე აუდიტორია;
- ამბიცია – დიდი სამომავლო მიზანი, წარმატებისა და რისკ ფაქტორების ჩათვლით;
- მიზანი - მიზეზი, რის გამოც ვარსებობთ;

ღირებულებები

სვანი ხალხი და მათი ავთენტური მახასიათებლები ბრენდის ღირებულებების საფუძველია. სვანები ცნობილნი არიან მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ენით, ისტორიითა თუ ტრადიციებით... ავთენტური, უნიკალური ხასიათის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი მახასიათებლები:

- სიცოცხლით აღსავსე - გულწრფელი, ენერგიული, ამაყი;
- მებრძოლი - მამაცი, თავისუფლების მოყვარული;
- სულიერი - მაგიური, ღრმა შინაგანი სამყაროს;
- გულწრფელი - სანდო, პატიოსანი, სამართლიანი;

პოზიციონირება

პოზიციონირება უნდა ეფუძნებოდეს კონკურენტულ უპირატესობებს. მდგრადი კონკურენტული უპირატესობა უნდა იყოს აგებული იმ ატრიბუტებზე, რომელთა დაკოპირებაც შეუძლებელია და არის ორგანიზაციის/ადგილის კულტურის, საქმიანობისა და ქმედებების

განუმეორებელი ნაწილი. მიზანი უნდა იყოს „ერთადერთის“ პოვნა, ასე რომ ჩვენ შეგვიძლია ამაყად ვამტკიცოთ, რომ: „ჩვენ გვაქვს ერთადერთი ბრენდი მსოფლიოში, რომელიც...“

დღევანდელი სამყარო ძალიან სწრაფია და ადამიანები ხშირად გადატვირთულები არიან ყოველდღიური ცხოვრებითა და საზრუნავებით, რაც პირადი ემოციებისთვის ცოტა დროსა და ადგილს ტოვებს. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ისეთი ადგილის მონახულება, რომელიც განსხვავდება დანარჩენი სამყაროსგან, ადგილი, სადაც ავთენტურობა და ბუნება ჯერ კიდევ არსებობს. სვანეთი სწორედ ამას გვთავაზობს - თავშესაფარს, ოაზისს, სადაც მნახველებს შეუძლიათ თავი დააღწიონ ერთფეროვნებას და აღიდგნინონ ენერგია. როგორც ადამიანური განძის მცველებმა, სვანებმა შეინარჩუნეს რაღაც ფასდაუდებელი - უძველესი ენერგია, რომელიც ჩანს მათ უნიკალურ ხასიათში, ტრადიციებში, კულტურასა და მითებში. სვანეთი არის ჩაუქრობელი ლამპარი და სვანები მზად არიან გააზიარონ ეს უნიკალური, მიუწვდომელი და ხელუხლებელი ენერგია მათი უსაზღვრო სტუმართმოყვარეობით. ეს საჩუქარი ყველასთვისაა, ვინც ცდილობს გაეცნოს მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს კულტურას, ტრადიციას, წეს-ჩვეულებებსა და მითებს. თუნდაც მათთვის ვისაც სურს ხელუხლებელი მთების დაპყრობა ან მათ ფერდობებზე თხილამურებით სრიალი. სვანები მზად არიან იყვნენ დაუვიწყარი მეგზურნი, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია საუკუნეების განმავლობაში შემონახული ცოდნისა და ენერგიის სრულიად განცდა.

პოზიციის განცხადება:

სვანეთი არის სამალავი, ოაზისი მითიური თავგადასავლებისთვის, რომელიც ეხმარება იშვიათი და ხელუხლებელი ბუნების მაძიებლებს „ცოცხლად“ იგრძნონ თავი.

ამბიცია

ბრენდი არის ჩვენს ამბიციებამდე მისაღწევი სტრატეგიული გეგმა - ის, რომელსაც საუკეთესო გეგმა აქვს, იგებს. ჭეშმარიტი ამბიცია მეტია, ვიდრე ბუნდოვანი ფრაზები. ეს არის ჩვენი სამომავლო მიზანი, რომელიც სიგიჟეს ჰგავს, მაგრამ მან უნდა წარმართოს ჩვენი მუშაობა და დაგვაყენოს ყოველდღიური ფოკუსირების გზაზე.

ბრენდის ამბიცია:

2027 წლისთვის სვანეთი გააორმაგებს ვიზიტორებს დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებული ქვეყნებიდან.

მიზანი

მოცემული მიზანი შემუშავებულია ბრენდის ექსპერტების მიერ. იგი დაფუძნებულია მომხმარებელთა დაპირებაზე - „ჩვენ ადამიანებს უფრო ცოცხლად ვაგრძნობინებთ თავს“ და რაც უფრო ღრმად იჭრება ადამიანის გონებაში, მით მეტი ემოცია რჩება დაპირების მიღმა. რა საჭიროება დგას იმის უკან, რომ უფრო ცოცხლად იგრძნონ თავი და რა ქმნის ამას შესაძლებელს?! სწორედ ეს არის ჩვენი - რატომ? სწორედ ეს შთაგვაგონებს. კარგი მიზანი არის სიამაყის წყარო, საკუთრების შეგრძნება, შთაგონება რომ გააკეთო მეტი და ცოტა უფრო წინ წაიწიო.

წელიწადის ნებისმიერ დროს, როცა სვანეთში ჩახვალ, ზუსტად მიწაზე ფეხის დადგმის მომენტში გრძნობ როგორ ივსები სასიცოცხლო ენერგიით. , გრძნობ რომ სამყარო უფრო მეტად გიყვარს. მილიონობით შთაბეჭდილებით, ცოდნით, გულწრფელობითა და ფიზიკური ენერგიით ივსები... ეს არის სიცოცხლის ძალა და სვანეთის დანიშნულებაა შენში ცეცხლი ისევ და ისევ გაღვივდეს!

სვანეთი ამ პლანეტაზე იმისთვის არის, რომ ჩვენში ცეცხლი კვლავ აანთოს.

2.4.2 ვიზიტორთა პროფილი და სამიზნე ბაზრები

ვიზიტორთა პროფილის შედგენა გვეხმარება რეგიონის სტუმრების მახასიათებლების აღწერაში, მათ შორის ვიზიტორთა დემოგრაფიული მონაცემები, ყოფნის ხანგრძლივობა, მოგზაურობის მიზანი, მოგზაურობის რეჟიმი და ტიპური აქტივობები. პოზიციონირების განცხადებაში და ბრენდის ამბიციაში გამოყენებული ტერმინების ახსნით, გვეხატება თავგადასავლების მოყვარული მოგზაურის სურათი. ეს ის ტიპია, რომელიც აერთიანებს თავგადასავლებს, იშვიათი და ველური ბუნების ინტერესს. იგი მოელის მაღალ სტანდარტებსა და ავთენტურ გამოცდილებას, მაგრამ ისეთს, რომელიც შეთავაზებულია ეკოლოგიური და სოციალურად მდგრადი გზებით.

„მცოდნე“ არის პერსონა, რომელიც ცოდნით აფასებს საგანს. თავგადასავლებით განსწავლულმა იცის, თუ რას გვთავაზობს მსოფლიო საუკეთესო სათავგადასავლო მოგზაურობის მიმართულების თვალსაზრისით. თავგადასავლების მოყვარული მოგზაური - გამოცდილების მქონე მოგზაური, ენთუზიასტები, ექსტრემალური თავგადასავლების მოყვარულები - არიან ისინი, ვინც ეძებენ იშვიათ და ველურ, მაღალი პოტენციალის, მაგრამ აქამდე უცნობ ადგილებს. ისეთ ტერიტორიებს, სადამდეც მიღწევა ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს.

მოგზაურობის მოტივაციის სეგმენტაცია

თანამედროვე ვიზიტორები უპირატესყოვლისა ეძიებენ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მოგზაურობას. ეს არის მოგზაურობის ფორმა, რომელიც გვიტოვებს წარუშლელ მოგონებებსა და უნიკალურ გამოცდილებებს. დღესდღეისობით გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კომფორტული დასვენება და „აუცილებლად სანახავი“ ადგილების მონახულება. რეალურად სწორედ თავგადასავლები და გამოცდილებაა ის, რაც აიძულებს ადამიანს მსოფლიოს მასშტაბით იმოგზაუროს. გამოცდილებაზე დაფუძნებული მოგზაურობა მის არსში ჩასვლასა და შთაბეჭდილების გააზრებას გულისხმობს, მოგზაურობის ზედაპირული განცდის მაგივრად. იმის მაგივრად, რომ შვებულების დღეების საათობრივად გადაანაწილო ქალაქებსა და ქვეყნებზე, დამსვენებლები ამჯობინებენ თავად დაგეგმონ და გაიაზრონ კონკრეტული სამოგზაურო მარშრუტი, გაეცნონ მასპინძლებს და დაგეგმონ მოსანახულებელი ადგილები. გამოცდილი მოგზაურები ცდილობენ გაიზიარონ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტილი და კულტურა.

ბევრი ტუროპერატორი ან გამოცდილი გიდი ავითარებს სხვადასხვა გზებს ამ მიზნის მისაღწევად - მაგალითად, ფოკუსირებას ახდენენ მთებში არსებულ აქტივობებსა და თავგადასავლებისკენ ორიენტირებულ დასვენებაზე. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ეკოტურიზმი, რომელიც ფართე გაგებით „ეკო“ ადამინისა და ბუნების ფენომენების გაცნობას ისახავს მიზნად. საქართველოს აქვს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოთხოვნით შემუშავებული „ეკოტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია“. ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც გასათვალისწინებელია სვანეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ეკოტურიზმის სტანდარტებისა და პირობების შემუშავების დროს.

სამიზნე ბაზრების პროფილი

მარტივი მოგზაურობა თავგადასავლების ბუნების მოყვარულთათვის	სვანეთში ასეთი მოგზაურობის ფორმა პოპულარულია და აერთიანებს სხვადასხვა ტიპის სამოგზაურო პროგრამებს - ოფ-როაუდ ჯიპებით, ველოსიპედით მოგზაურობას, ფეხით ლაშქრობას, მარტივი საცხენოსნო ტური, და სხვა . ასეთიტურისტები ძირითადად ჩამოდიან ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სკანდინავიიდან, შეერთებული შტატებიდან და რუსეთიდან. მათი ასაკი 25-დან 70 წლამდე მერყეობს.
მოთხილამურეები	მოთხილამურეების უმრავლესობა გერმანიიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან. ჩნდება ახალი სეგმენტისამხრეთის ქვეყნებიდან, მათ შორის არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან სვანეთის სამთო-სათხილამურო კურორტები ნაკლებად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე და ნაკლებად შუქდება სპეციალიზირებულ გამოცემებში. სვანეთში სათხილამურო აქტივობით დაინტერესებული მოგზაურების უმეტესობა ახალგაზრდები არიან, რომლებიც ეძებენ სიახლეებს, ექსტრემალურ აქტივობას, ასეთი მოგზაურები ძირითადადაღარ იყენებენ ტურისტულ კომპანიებს და პირდაპირ თავად ჯავშნიან ტურებს.

ცხენოსნები	გვხვდება ცხენოსნობით დაინტერესებული სულ უფრო მეტი მოგზაური.რომლებისთვისაც ცხენოსნობა არის მოგზაურობის ძირითადი მიზანი. ასეთი სტუმრები ჩამოდიან რუსეთიდან, შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სკანდინავიიდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან. ისინი 25-დან 70 წლამდე ასაკის არიან.
კულტურა	სვანეთი კულტურული თვალსაზრისით აუცილებლად სანახავი ადგილია. ამ ტიპის მოგზაურობით დაინტერესებული ბაზრებია - გერმანი, ჩრდილოეთ ამერიკა, აღმოსავლეთ ევროპა, იაპონია და ახლო აღმოსავლეთი. ამ მოგზაურების ასაკი საკმაოდ ფართოა და 20-დან 80 წლამდე მერყეობს. ისინი ან დამოუკიდებლად არიან ჩამოსულები ან დიდ ჯგუფებთან ერთად.
გასტრონომია	გასტრონომიული ტურიზმის სექტორი მოიცავს კულინარიით დაინტერესებულ წრეებს, მწერლებს, ჟურნალისტებს და ზოგადად კვების მოყვარულებს. აღნიშნული მიმდინარეობაც სწრაფად ფართოვდება. ისინი ძირითადად მაღალი (ეკონომიკურად შეძლებული) ფენის წარმომადგენლები არიან არიან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, დასავლეთ ევროპიდან, იაპონიიდან და ზოგჯერ სამხრეთ ამერიკიდან. მათი ასაკი 35-დან 70 წლამდე მერყეობს.

გეოგრაფიული სეგმენტაცია

განსაკუთრებული გამოცდილების მაძიებელი მოგზაურები გვხვდება ყველანაირი ასაკობრივი, შემოსავლის მქონე და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ჯგუფებში. მათზე ნაკლებად მოქმედებს ტრადიციული ბარიერები, როგორიცაა შორ მანძილზე მოგზაურობა, დროის პრობლემები ან ხარჯები. ასეთი მოგზაურებისავარაუდოდ, უფრო დიდხანს რჩებიან ქვეყანაში, მეტ ფულს ხარჯავენ და მეტ რეგიონს ნახულობენ, არიან პროფესიონალური სერვისების მომხმარებლები, როგორებიცაა გიდები, ინსტრუქტორები და ტურ ოპერატორები.

თუმცა, საქართველო/სვანეთის ტურისტული სამიზნე ქვეყნები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

1. მეზობელი ქვეყნები (სახმელეთო საზღვრები): სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი

2. საშუალო მანძილზე მყოფი ქვეყნები: ევროპის, ახლო აღმოსავლეთის (განსაკუთრებით არაბეთის გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, კატარი, ქუვეითი და ისრაელი) და ცენტრალური აზიის (ყაზახეთი) ქვეყნები.

რუკა 5: ვიზიტორების სეგმენტაცია ფრენის ხანგრძლივობით (რუკაზე მითითებულია პირდაპირი საფრენი საათი)

3. შორეული ქვეყნები: შორეული აზია (განსაკუთრებით იაპონია, ჩინეთი და კორეა), შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია და სხვა.

GNTA-ს ტურიზმის ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, სამიზნე ბაზრებია ევროპა, აზია და ჩრდილოეთ ამერიკა. მარკეტინგული საქმიანობა შესაბამისად ამ ბაზრებზეა ფოკუსირებული და მიზანად ისახავს ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგებას.

სამიზნე ბაზრების სიდიდე

ქვეყანა	სამიზნე ბაზრების სიდიდე
პოლონეთი	ზრდასრული მოსახლეობის 30%-ზე მეტი საერთაშორისო მოგზაურია; ისინი ეძებენ ახალ და ავთენტურ გამოცდილებებს; საქართველოს 2022 წელს 41,917 ვიზიტორი ჰყავდა პოლონეთიდან. საქართველოს პოლონელი მოგზაურების 0,8% სტუმრობს.
გერმანია	14.6 მილიონი მოთხილამურე; ასევე პოპულარულია გასტრონომია და ღვინო ; 48,548 სტუმარი 2022 წელს; საქართველო გერმანელი მოგზაურების მხოლოდ 0,09%-ს მოიცავს.
უკრაინა	2019 წელს მოსახლეობის 56%-მა იმოგზაურა საზღვარგარეთ; უყვართ სათხილამურო არდადეგები, განსაკუთრებით ხელმისაწვდომ ადგილებში, კარგი საკვებითა და ღვინით; 168 915 ვიზიტორი უკრაინიდან 2022 წელს; საქართველო უკრაინელი მოგზაურობის 0,7%-ს მოიცავს.
დიდი ბრიტანეთი	აინტერესებთ ღვინო, გასტრონომია და კულტურა; 21,409 ვიზიტორი 2022 წელს. საქართველოში მოდის ბრიტანეთიდან გამავალი ტურისტების 0,04%.
ამერიკა	13%-ს სურს გაეცნოს სხვადასხვა კულტურას, ხოლო 9%-ს სურს გააფართოვოს თავისი პერსპექტივა; ბოლო დროს უფრო მეტი ამერიკელი მოგზაური ირჩევს დანიშნულების ადგილს საკვების მიხედვით; დაახლოებით 40,000 ამერიკელი ვიზიტორი 2022 წელს; საქართველო ამერიკელი მოგზაურების 0,04%-ს მოიცავს.
ყაზახეთი	უყვართ ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, თავგადასავლები. ქვეყნის გარეთ 8,7 მილიონმა მოქალაქემ იმოგზაურა. 2022 წელს საქართველომ ყაზახეთიდან 120 000-მდე ტურისტი მიიღო, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში ყაზახეთიდან გამავალი ტურისტების 1,3% მოდის.
ახლო	მზარდი ვიზიტორების რაოდენობა; ბუნებისა და სათხილამურო კურორტების მოყვარულები; ჩვეულებრივ

აღმოსავლეთი	მოგზაურობენ ოჯახებით. ისრაელი საქართველოს ტოპ 5 ქვეყანას შორისაა ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით, 2022 წელს 210,178 ვიზიტორი. 2022 წელს ისრაელის ხელისუფლებამ აღრიცხა რვა მილიონზე მეტი ისრაელის მოქალაქის საზღვარგარეთ გამგზავრება. იგივე რიცხვია საუდის არაბეთიდან გამავალი ტურისტების. 2022 წელს საუდის არაბეთიდან საქართველოში 140 000-მდე ვიზიტორი შემოვიდა, რაც მთლიანი ბაზრის 1,7%-ს შეადგენს.

2.4.3 კონკურენტების ანალიზი

ტრენტო (ტრენტინო), იტალია:

ტრენტინო ჩრდილოეთ იტალიაში მდებარეობს და ცნობილია მისი ბუნებრივი სილამაზით, განსაკუთრებით, ცნობილია დოლომიტების მთები.

ტრენტინოს სტუმრობენთავგადასავლებისა და ლამაზი ბუნებრივი გარემოს მოყვარული მოგზაურები, რომლებსაც სურთ დაისვენონ სასიამუვნო ბუნებრივ გარემოში და გაეცნონ და უნიკალურ კულტურული გარემოს (ტრენტინო UNESCO-ს ძეგლია ლანდშაფტურ კატეგორიაში) . დამთვალიერებელთათვის აქ არის მრავალი ისტორიული თუ კულტურული ადგილი, მათ შორის ბუონკონსილიოს ციხესიმაგრეს და საბუნებისმეტყველო მუზეუმი. ეს არის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული და ბუნებრივი ძეგლი, რომლის მეშვეობით პროვინცია იღებს ეკონომიკურ სარგებელს. (მაგალითი უშგულის განვითარებისთვის)

პოპულარულია ზამთრის აქტივობები, როგორიცაა თხილამურებით, სნოუბორდითა და ციგით სრიალი. აქ არის უამრავი სათხილამურო სივრცე. ზაფხულში ვიზიტორებს შეუძლიათ დატკბნენ ვენახებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტით, ლაშქრობით, მთის ველოსიპედით, კლდეზე ცოცვით ან თვალწარმტაცი ტბებით. რეგიონის მთავარი ქალაქი ტრენტო სთავაზობს ხელოვნებისა და კულტურის მოყვარულებს ფესტივალებს - ტრენტინოს მუსიკალური ფესტივალი ან საზაფხულო მზის ამოსვლის

ხელოვნებისა და მუსიკის ფესტივალი. ტრენტინო საუკეთესო ადგილია ისეთი ტურისტებისთვის, რომლებსაც სურთ ხელუხლებელი ბუნება, მდიდარი ისტორია და კულტურა.

პარკ სითი, იუტა:

ეს მომხიბლავი მთის ქალაქი იუტაში ცნობილია თავისი ორი მსოფლიო დონის სათხილამურო კურორტით (Park City Mountain Resort და Deer Valley Resort), აგრეთვე გარე აქტივობებით, როგორიცაა ლაშქრობა, ველოსიპედით სეირნობა და გოლფი. ქალაქის მთავარ ქუჩაზე განთავსებულია ისტორიული შენობები, მაღაზიები, ხელოვნების გალერეები და რესტორნები. იუტას ოლიმპიურ პარკში, რომელიც 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის აშენდა, შესაძლებელია შემდეგი სპორტული აქტივობებით დაკავება:ბობსლეი და ზიპლაინი. პარკ სიტი ყოველი წლის იანვარში მასპინძლობს სანდენსის კინოფესტივალს. ვიზიტორებს შეუძლიათ დაათვალიერონ ულამაზესი იუნტას ეროვნული ტყე ან გაისეირნონ მანქანით თვალწარმტაცი კანიონების მოსანახულებლად.

სოლდენი, ავსტრია:

სოლდენი არის მთის დასახლება ავსტრიაში, რომელიც სიდიდით, გარემოთი და ხალხით ჰგავს სვანეთს. სოლდენი 4-სეზონიანი კურორტია, რომელიც სტუმრებს სთავაზობს გარე აქტივობებს, განსაცვიფრებელ ბუნებრივ სილამაზეს და თვალმწარმტაც პეიზაჟებს. რეგიონის სიახლოვე ინსბრუკთან და კარგად განვითარებული სატრანსპორტო ქსელი მას მოგზაურთათვის მარტივად მისაწვდომ ადგილად აქცევს. ზამთრის თვეებში შეგვიძლია დავკავდეთ ზამთრის ტრადიციული აქტივობებით, როგორიცაა თხილამურით სრიალი და სნოუბორდი ტობოგანის ფერდობებზე, რომელიც უკავშირდება რეტენბახის და ტიფენბახის მყინვარებს. „დიდი 3 მთის“ მწვერვალებს აქვთ გონდოლები და საბაგიროები (დაახლოებით 40 საბაგირო), რომელიც ღიაა როგორც ზამთარში ისე ზაფხულში. ამ საბაგიროებით შეგვიძლია ავიდეთ მთის მწვერვალებზე არსებულ რესტორნებსა და ვისიამოვნოთ ხედებით. ზაფხულის სეზონზე შესაძლებელია ლაშქრობი, ველოსიპედით სეირნობა, კლდეზე ცოცვა, გამაჯანსაღებელი აბაზანების მიღება. სლოგანი "Think Big-Think Sölden" იდეალურია მსგავსი ალპური საზოგადოებისთვის.

მაზაარის ზამთრის კურორტი, ლიბანი

მაზაარი არის ყველაზე დიდი ზამთრის კურორტი ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ლიბანის მთიან ნაწილში, კესერვანის რაიონში მდებარეობს. ის იზიდავს ისტორიის, კულტურისა და ბუნების მოყვარულ ადამიანებს. ამავდროულად, კურორტი ყურადღებას ამახვილებს ზამთრის სამთო სპორტის მოყვარულებზე. 42 ფერდობითა და 80 კილომეტრიანი მოვლილი ბილიკებით ეს ადგილი მთავარი კურორტია მოთხილამურეებისთვისა და სნოუბორდისტებისთვის. რაც შეეხება ზაფხულს, ამ დროს კურორტზე შესაძლებელია ლაშქრობა, მთაში ველოსიპედით სეირნობა და სხვა გარე აქტივობები. ამავდროულად, იმართება ყოველწლიური საზაფხულო ფესტივალი, სადაც წარმოდგენილია ხელნაკეთი ნივთები, ტრადიციული კულინარია, ისმის ცოცხალი მუსიკა... მაზაარი ადვილი მისადგომია ბეირუთიდან და საინტერესო ადგილია თავგადასავლების მოყვარულ მოგზაურთათვის.

გუსარი, აზერბაიჯანი

გუსარი მდებარეობს აზერბაიჯანის ჩრდილოეთით, რუსეთის საზღვართან ახლოს. ადგილი ცნობილია როგორც აზერბაიჯანის „ჩრდილოეთ კარიბჭე“ და მთელი წლის განმავლობაში მასპინძლობს ტურისტებს. გუსარი არის კავკასიის მთების ულამაზესი პეიზაჟები, ტრადიციული სოფლები და გემრიელი ლეზგიური სამზარეულო. ზამთარში სტუმრებს შეუძლიათ ისიამოვნონ თხილამურებით, სნოუბორდით, ზამთრის ლაშქრობითა და ტრადიციული აბანოებით. შაჰდაგის სამთო კურორტი პოპულარული სათხილამურო კურორტია, რომელიც გთავაზობთ ზამთრის სპორტის მსგავს აქტივობებს. ზაფხულში ვიზიტორებს შეუძლიათ დაკავდნენ გარე აქტივობებით, როგორიცაა ლაშქრობა, კლდეზე ცოცვა, კემპინგი, წყლის სპორტი და ცხენოსნობა. ტურისთებისთვის აგრეთვე ხელმისაწვდომია კულტურული და ისტორიული ადგილები, მათ შორის უძველესი მეჩეთები და ტრადიციული აზერბაიჯანული სოფლები, შაჰდაგის ეროვნული პარკის ბუნებრივი სილამაზე თავისი მთებით, ტყეებით, მდინარეებით, ტბებითა და შემონახული უნიკალური კულტურით იზიდავს ბევრ ვიზიტორს, რომლებიც ეძებენ განსაკუთრებულ გამოცდილებას.

მონაცემი 5: კონკურენტების ანალიზი

დანიშნულების ადგილი	აღწერა	მთავარი სამოტივაციოფაქტორი	უნიკალური შეთავაზება
ტრენტინო,იტალია	ბუნებრივი სილამაზე, თვალწარმტაცი პეიზაჟები, მთიანი რელიეფი, განსაკუთრებით საინტერესოა დოლომიტის მთები. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული ლანდშაფტი.	ხელუხლებელი ბუნება, მდიდარი ისტორია და კულტურა	დოლომიტები
პარკ სითი, იუტა	პარკ სიტი ცნობილია მთელი წლის განმავლობაში დატვირთული ტურისტული აქტივობებით ისტორიული ადგილებით, ცნობილი კულტურული ღონისძიებებით, ტყეებისა და კანიონების ბუნებრივი სილამაზით.	გარე თავგადასავალი	სანდენსის კინოფესტივალი და იუტას ოლიმპიური პარკი (2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები)
სოლდენი, ავსტრია	ე.წ. „ალპების გულისცემა“ ცნობილია გარე აქტივობების ფართო სპექტრით, განსაცვიფრებელი ბუნებრივი სილამაზით, Ötztal Alps-ის პანორამული ხედებით და თვალწარმტაცი პეიზაჟებით. იგი ჩამოყალიბდა მოწინავე სათხილამურო კურორტად. ეს ადგილი არის FIS ალპირი სათხილამურო შეჯიბრების ყოველწლიური მასპინძელი.	ქალაქიდან თავის დაღწევისშესაძლებლობა - ამაღელვებელი, მშვიდი, ან ორივე ერთად.	"დიდი სამეული" - სამი განსხვავებული მწვერვალი 3000 მეტრზე მეტი სიმაღლით
მაზაარი, ლებანონი	უნიკალური რეგიონი თავისი გარე აქტივობებითა და ღონისძიებებით ზამთარსა და ზაფხულში იგი ასევე გამოირჩევა პანორამული ხედებით.	ერთდროულად ევროპული/ალპური და აზიური გარემო, ეგზოტიკური და ისტორიით სავსე მხარე	უდიდესი სათხილამურო კურორტი ახლო აღმოსავლეთში
ვალ დიზერე, საფრანგეთი	Val d'Isère არის საფრანგეთის ერთ-ერთი ულამაზესი სათხილამურო კურორტი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ ალპების ძირში, სამი ხეობის შესაყარში. გარდა	სათხილამურო თავგადასავლები	უდიდესი სათხილამურო კურორტი

	მთებისა ცნობილია შოკოლადის ნაირსახეობით, მაღალი კლასის სასტუმროებით, ისტორიული ცენტრალურით და მის შემოგარენი სოფლებით.		
შამონი, საფრანგეთი	შამონი არის საკურორტო ზონა საფრანგეთის, შვეიცარიისა და იტალიის გადაკვეთზე. მდებარეობს მთა მონ ბლანის ძირში. ცნობილია ალპინიზმის ისტორიით.	მთის კულტურისა და ალპინისტური თავგადასავლები	მონბლანი
ლაპლანდია	ლაპლანდია ფინეთის უკიდურესი ჩრდილოეთ რეგიონია, რომელიც ცნობილია თავისი უზარმაზარი სუბარქტიკული სივრცეებით, სათხილამურო კურორტებითა და ბუნებრივი მოვლენებით, მათ შორის შუაღამის მზითა და ჩრდილოეთის ნათებით.	ზღაპრული თავგადასავალი	საამების ხალხი, სანტა კლაუსი

სვანეთის კონკურენტული უპირატესობები

ოთხი ძირითადი კონკურენტული უპირატესობა (სვანეთის ბრენდის სტრატეგიიდან):

1. <u>სამთო თავგადასავალი ხელშეუხებელ ბუნებაში</u> - კავკასიონის დიდ მთებზე ასვლის შესაძლებლობა და ზამთრის/ზაფხულის სპორტის ფართო არჩევანი. ტურისტებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ხელუხლებელი, ველური ბუნება. გვხვდება 5000 მეტრზე მაღალი მთის მწვერვალები. მათ ვისაც აქვთ საშუალება და უნარი, შეუძლიათ ისიამოვნონ სათხილამურო ტურით, ლაშქრობითა და ჰელისკით;
2. <u>სვანეთი ახალი და ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობი ადგილია,</u> რაც ძალიან მიმზიდველია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც უკვე ბევრი კურორტი აქვთ მონახულებული. აქ შევხვდებით კონტრასტს რომელიც გვაძლევს შეგრძნებას, რომ ვართ უძველეს სამოქალაქო ცივილიზაციაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღმოჩენილი.
3. <u>კულტურა და ლეგენდები: ცოცხალი მუზეუმი</u> - სვანეთის უნივერსალური ღირებულება მოიცავს მთებს, სოფლებს, არქიტექტურასა და შუა საუკუნეების ხელოვნებას, რომელიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია პირვანდელი იერსახით და ერწყმის თანამედროვე ცხოვრების წესს.
4. <u>უნიკალური ხალხი და იშვიათი სტუმართმოყვარეობა</u> - სვანები მამაცი მებრძოლები

და სტუმართმოყვარე ხალხია, რომლებსაც უყვართ შრომა, თავგადასავალი და გართობა.

სვანეთის კონკურენტული ნაკლოვანებები

მიუხედავად იმისა, რომ ზემო და ქვემო სვანეთს საერთო გამოწვევები და პრობლემები აქვთ, ასევე არის

მნიშვნელოვანი განსხვავებები მათ წინაშე არსებული გამოწვევების დონესა და მასშტაბში.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც რეგიონის ორივე მუნიციპალიტეტისთვისაა დამახასიათებელი:

- საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწვდომადობა;
- ელექტროენერგიის მიწოდება;
- განათლების რესურსები და ინფრასტრუქტურა;
- ადგილობრივი საკვები პროდუქტის დეფიციტი;
- ნარჩენების მართვა;
- წყალი და სანიტარიული სისტემა;
- მდგრადი ენერგია;
- კლიმატის ცვლილებასთან და ურბანულ-ინდუსტრიულ გაფართოებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემები;

2.4.4 მარკეტინგული აქტივობების შეფასება

სვანეთის მარკეტინგული ძალისხმევები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

სარეკლამო კამპანიები

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სვანეთის DMO პოპულარიზაციას უწევენ სვანეთს სხვადასხვა მარკეტინგული კამპანიის საშუალებით. ეს კამპანიები იყენებენ ვიზუალურ და წერილობით მასალებს რეგიონის ღირსშესანიშნაობების წარმოსაჩენად და ტურისტების მოსაზიდად. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სვანეთის DMO მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა უცხოურ გამოფენაში, რითაც ცდილობენ გაზარდონ რეგიონის პოპულარიზაცია. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მარტში საქართველომ იყო ITB ბერლინის ტურისტული გამოფენის „მასპინძელი“ ქვეყანა. გამოფენის მთავარ ბილბორდზე სვანეთის სურათი (მწ. შხარა და ლამარიას ტაძარი) იყო გამოფენილი. სვანეთის როგორც ბრენდის პოზიციონირებამ დიდი ნაწილი დაიკავა ქვეყნის სარეკლამო კამპანიაში. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს საჭიროება, რომ სვანეთის DMO-მ გაიაროს სათანადო ტრენინგები, რათა უზრუნველყოს სვანეთის, როგორც ბრენდის ეფექტურად და თანმიმდევრულად გამოყენების შესაძლებლობა.

ონლაინ აქტივობა (სოციალური ქსელები)

სვანეთს ონლაინ აქტივობა სოციალური მედია პლატფორმების საშუალებით აქვს. როგორებიცაა: Facebook და Instagram (ჰეშთეგებს #Svanetia-ს აქვს 23.3K და #Svaneti-ს აქვს 207K პოსტი Instagram-ზე). ამ პლატფორმებს იყენებენ როგორც სხვადასხვა საჯარო უწყებები, ასევე ინდივიდუალური გიდები და მოგზაურები, რათა გამოაქვეყნონ ფოტოები, ვიდეობი და სხვა შინაარსის პოსტები, რომლებიც ხაზს უსვამს რეგიონის ბუნებრივ სილამაზეს და კულტურულ ღირსშესანიშნაობებს.

ტურისტული პაკეტები

ბევრი ტუროპერატორი გვთავაზობს სვანეთის ტურისტულ პაკეტს, რომლებიც ჩვეულებრივ მოიცავს ტრანსპორტირებას, საოჯახო სახლში ან სასტუმროში განთავსებასა და აქტივობებს, როგორიცაა ლაშქრობა, თხილამურები და კულტურული მემკვიდრეობების დათვალიერება. აღსანიშნავია, რომ უმეტესად აქცენტი მესტიის მუნიციპალიტეტზე კეთდება და ლენტეხის ტურების მცირე რაოდენობას ვხვდებით.

ფესტივალები და ღონისძიებები

სვანეთი მთელი წლის განმავლობაში რამდენიმე კულტურულ ფესტივალს მასპინძლობს, რომლებიც იზიდავს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებს. ამ ღონისძიებებზე შეგვიძლია ვნახოთ რეგიონის ტრადიციულ მუსიკა, ცეკვა, საკვები და ხელნაკეთი ნივთები. ასეთი ფესტივალებს წარმოადგენს: მესტიის ყოველწლიური კინოფესტივალი, ზურულდის თასი, FWT-ის საკვალიფიკაციო ტურნირები და მწვერვალების დალაშქვრა. წელს სვანსეტის ფესტივალი ლენტეხში გაიმართება, სადაც სვანური ფოლკლორისა და თანამედროვე მუსიკის წარმომადგენლები დაუკრავენ.

3.0 შესაძლებლობების შეფასება

3.1 რეგიონის ზოგადი შესაძლებლობები

ეს თავი განსაზღვრავს ტურისტულ პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება განვითარდეს ზამთრისა და ზაფხულის სეზონისთვის, ზემო და ქვემო სვანეთში.

3.1.1 ზამთრის სეზონი

სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარება მესტიაში

მნიშვნელოვანია, რომ თეთნულდის სათხილამურო ტრასები დაუკავშირდეს სოფელ მულახისა. გზა მესტიიდან თეთნულდის საბაგირომდე 30 კმ სიგრძისაა, ხოლო ბოლო 8 კილომეტრი ცუდ მდგომარეობაშია. ახალი საბაგირო გზის მშენებლობა შესაძლებლობას მისცემს მულახის დასახლებას რომ განვითარდეს და იქცეს სამთო-სათხილამურო კურორტად (11 ისტორიული სოფელი), სადაც

შესაძლებელია 5000-მდე საწოლი ადგილის მოწყობა, ისე რომ არ დაიკარგოს ისტორიული განაშენიანების ხიბლი და სოფლების პერიმეტრი. ეს იქნება ისტორიული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ასეთი დიდი წარსულის მქონე ადგილი იქცეს თანამედროვე კურორტის საბაზო დასახლებად. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და მიიღო მულახის თემის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების გეგმა. მომზადებულია და შეთანხმების პროცესშია საბაგირო გზის მშენებლობის პროექტიც. საბაგირო გზა მესტიასა და თეთნულდს შორის მგზავრობის დროს გაანახევრებს. შემდეგი ეტაპისთვის შემოთავაზებული საბაგირო გზა კი დააკავშირებს თეთნულდისა და ჰაწვალის საბაგიროებს და შექმნის დიდ სათხილამურო აგლომერაციას რომლის ტევადობაც საკმერისი იქნება ერთდროულად 150 ათასი მოთხილამურის მისაღებად.

ახალი სამთო-სათხილამურო კურორტის პროექტი ლენტეხში

ახალი სამთო-სათხილამურო კურორტის ჭუთხაროს შესწავლა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება კვლევის პროცესშია. ახალი კურორტი, რომელიც შესაძლებელია 5000 ჰექტარზე გაშენდეს, ყველაზე დიდი იქნება ამიერკავკასიის რეგიონში და ახალ ტურისტულ მაგნიტად იქცევა. ამ კურორტის მთავარი უპირატესობაა უნიკალური კლიმატური მონაცემები, თოვლის ხანგრძლივობა, ტრასების მრავალფეროვნება და ქუთაისისა და ამბროლაურის აეროპორტებთან სიახლოვე. სამთო-სათხილამურო კურორტის ჭუთხაროს დაარსება ხელს შეუწყობს ლენტეხის, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, ამ ეტაპზე ტქნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე წინასწარ რაიმე სახის საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება ნაადრევია.

საჯარო-კერძო კონსორციუმის მაგალითი - საფრანგეთი Grand Massive / 5 ski resorfts

